ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 9 – 10 ივლისი, 2016

№161 (7087)

ფასი: 50 თეთრი

დუშეთის გამგებელი რეკორდის დამყარებას აპირებს?

გვ.6

„მას შეუძლია 2-ჯერ დაარტყას ეკვადორს წრე“

თორნიკე შარაშენიძე: „ნატოსკენ მიმავალ გზაზე მთავარი პრობლემა ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებია“

გვ.2

„შიშით, რომ ნატო რუსეთისთვის გამაღიზიანებელია, შორს ვერ წავალთ“

გიორგი მარგველაშვილი იენს სტოლტენბერგს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ვარშავის სამიტის ფარგლებში, NATO-ს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს პირისპირ შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრისას საქართველო – NATO-ს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების საკითხები განიხილეს.

გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა იენს სტოლტენბერგს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერისათვის.

მხარეებმა საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზეც იმსჯელეს და ყურადღება გაამახვილეს იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას. აღინიშნა, რომ საქართველო საკუთარი ვალდებულებების ერთგული რჩება და როგორც NATO-ს არაწევრ სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონტრიბუტორ ქვეყანას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთო ევროატლანტიკურ კეთილდღეობაში.

ინტერპრესნიუსი

„ივანიშვილმა ნაციონალების ნაწილი კომპრომატებით გადაიბირა“

მეგი გოცირიძე: „შიხიაშვილმა მოიყვანოს მეჭიაური, ვოლსკი, თოფაძე და ცოცხალი კედელი აღმართონ დიდგორზე“

გვ.3

გიორგი გაჩეჩილაძე: „ნაციონალები ცდილობენ, რუსეთის მხარდაჭერა მოიპოვონ“

გვ.5

რატომ იმუშავა მწვანეთა პარტიამ გიგი წერეთლის წინააღმდეგ

პაატა ჯიბლაძე: „ჩვენ სამხედრო ნეიტრალიტეტის მომხრე ვართ“

„ქართული ოცნება“ ვერ გაბედავს, რომ ხალხს წინასაარჩევნოდ კიდევ ერთხელ დაჰპირდეს სამართლიანობას“

გვ. 5

ISSN 1987-9385

ლალი აფციაური: „ელენე თევდორაძემ მითხრა, რომ ცისის ბუნტი ბოკერიამ ჩაახშობინა“

გვ. 4

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.6

თორნიკე შარაშენიძე: „ნატოსკენ მიმავალ გზაზე მთავარი პრობლემა ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებია“

„შიშით, რომ ნატო რუსეთისთვის გამაღიზიანებელია, შორს ვერ წავალთ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ნატოს ვარშავის სამიტის მოლოდინებზე საუბრობს.

– ბატონო თორნიკე, ნატოს ვარშავის სამიტიდან, როგორც უკვე ცნობილია, მაპს არ ველოდებით. თუმცა, საქართველოში ვიზიტად მყოფმა ჯონ კერიმ გვითხრა, რომ ჩვენი ხმელეთი, ცა და წყლები დაცული იქნება. რა ხელშესახები თავდაცვა შეიძლება წამოიღოს საქართველომ ვარშავიდან?

– ყველაზე მთავარი მონაპოვარი ამ ეტაპზე არის ის ხელშეკრულება, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააფორმა საქართველოსთან, სადაც სწორედ იმაზეა საუბარი, რაზეც თქვენ მკითხეთ. სწორედ ეს ხელშეკრულება უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მეტ თავდაცვას.

რა შეიძლება წამოვიღოთ უფრო ხელშესახები ამ სამიტიდან? შეიძლება ჩვენ ნატოს კიდევ ერთი საწვრთნელი ცენტრი მივიღოთ, რაც, დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, კარგი შედეგი იქნება.

– საუბარი იყო შავი ზღვის დაცვაზე, ნატოს ხომალდების პატრულირებაზე. ეს რამდენად რეალურია?

– დიახ, ეს იდეა არსებობს და მისი განხორციელება სავსებით რეალურია. შავი ზღვის დაცვა, მასში ნატოს წევრი სახელმწიფოების ხომალდების პატრულირება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენთვის, მაგრამ აქ საუბარია, ვინ დაიცავს, ამერიკული ხომალდები ჩამოვლენ და ისინი იქნებიან, თუ ნატოს წევრი სხვა სახელმწიფოები, მაგალითად, პოლონეთი, თურქეთი და ა.შ.

– ჩვენთვის ამერიკული ხომალდები უფრო მისაღებია?

– რასაკვირველია, სად ამერიკის ხომალდის პატრულირება და სად ბულგარეთის ან რუმინეთის. ამას აქვს მნიშვნელობა ისეთი ქვეყნისთვის და აგრესორისთვის, როგორიც არის რუსეთი. საბოლოო ჯამში თუ იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული, ეს ძალიან კარგი შედეგი იქნება. ამ იდეას ეწინააღმდეგებოდა ბულგარეთი, ახლა რა პოზიციაზეა მიმდინარე სამიტზე, ვერ გეტყვით, მაგრამ ალბათ ისეთი წევრი სახელმწიფოები, როგორიც ამერიკაა, მოახერხებდა ბულგარეთის დარწმუნებას.

– რას უკავშირებთ ბულგარეთის ამ პოზიციას, რატომ ეწინააღმდეგება ის შავი ზღვის აკვატორიაში ნატოს ხომალდების გამოჩენას?

– ბულგარეთი ყველაზე პატარა წევრი სახელმწიფოა ნატოში და თავის გამოჩენა უნდა, მეტ სხვას არაფერს ვუკავშირებ. ბულგარეთის ამ წინააღმდეგობაში ბევრმა ანალიტიკოსმა რუსეთის ხელი დაინახა, მაგრამ მე ამ იდეას არ ვეთანხმები, არ მგონია, რომ საქმე ამასთან გვქონდეს, უბრალოდ, ბულგარეთს თავის გამოჩენა უნდა, მაგრამ მას გადააფიქრებინებენ და ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება.

– მეტი ნატო საქართველოში მართლაც თუ რეალობა იქნება, მართლაც თუ გამოჩნდებიან შავ ზღვაში ამერიკული ხომალდები, შეიძლება ეს რუსეთისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორი აღმოჩნდეს, რადგან ჩვენ ვიცით პუტინის განცხადება, რომ ის არ დაუშვებს ნატოს გაფართოებას მისი საზღვრის სიახლოვეს.

– მეტი რა უნდა გააკეთოს, ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს, თბილისში შემოვარდება? თუ შემოვარდება, მაშინ ადგილზე მას ამერიკული ხომალდები დახვდება. იმის შიში, რომ მეტი ნატო საფრთხე შეიძლება იყოს, რომ რუსეთი არ გავაღიზიანოთ, მიუღებელია, ასე შორს ვერ წავალთ. ასეთი ხელშესახები თუ იქნა ჩვენი თავდაცვა, თუ ამერიკული ხომალდები გამოჩნდებიან შავ ზღვაში და ეს იქნება სათანადო დონეზე, რუსეთი ასე მარტივად არ შემოვარდება.

– რამდენად არის რუსეთი შემაფერხებელი ფაქტორი თავად ნატოსთვის, რომ მან უფრო თამამი ნაბიჯი გადადგას ღია კარის პოლიტიკისკენ, მაგალითად, თამამად მოგვცეს მაპი?

– რასაკვირველია, არის და ამას ვერ გავექცევით. თუმცა, ნატოსთვის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი არის ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები, რაზეც ისინი ღიად არ საუბრობენ, რაც არის რუსეთის შემოქმედება.

– ჩვენ ვიცით, რომ ვარშავის სამიტი იქნება გაწევრიანების სამიტი და მისი მომავალი წევრი მონტენეგროა. ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა თქვა, რომ ეს არის დასტური ყველა მსურველი კანდიდატისთვის, რომ ღია კარის პოლიტიკა რჩება. ასეა?

– დიახ, ნამდვილად ასეა. ღია კარის პოლიტიკას ნატო ტოვებს და ეს არ არის მხოლოდ განცხადება განცხადებისთვის, ასე რომ არ იყოს, მონტენეგრო ვერ გახდებოდა ნატოს ახალი წევრი სახელმწიფო. თუ თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი, სერიოზული ძვრები მოხდება, რაც არ არის გამორიცხული, ჩვენ შეიძლება სრულიად მოულოდნელად გავხდეთ ნატოს წევრი სახელმწიფო.

– რა შეიძლება იყოს ეს?

– მაგალითად, ისეთი მნიშვნელობის, თავის დროზე როგორიც იყო საბჭოთა კავშირის დაშლა. ასევე ასეთი იყო 11 სექტემბერი, კიდევ რუსეთის დეფოლტი, როდესაც გაკოტრდა. ეს არის ფანჯარა, რომელიც იღება ხოლმე, მაგრამ ამ ფანჯარას მზად უნდა შევხვდეთ.

– ეს პროცესები მთლიანად არის გარე ფაქტორებზე დამოკიდებული, მაგალითად, რუსეთზე და ა.შ. თუ ქვეყნის საშინაო პოლიტიკასაც, დემოკრატიის განვითარებასაც უკავშირდება?

– ერთმანეთს არ გამორიცხავენ, მაგრამ შიდა პროცესები, მაგალითად, დემოკრატიის განვითარება და ა.შ. ხშირად არის საბაბად გამოყენებული, მაგალითად, მაპს რომ არ გვაძლევენ ამდენი ხანი, იმას კი არ გვეუბნებიან, რომ აქ მთავარი ფაქტორი არის რუსეთი, არამედ გვეუბნებიან, დემოკრატია განავითარეთო, მაგრამ ეს საბაბი უნდა წავართვათ, რომ სათქმელი აღარ დავუტოვოთ. უმთავრესი პრობლემა ნატოსკენ მიმავალ გზაზე მაინც ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებია.

– რუსეთი არ დაგვიბრუნებს ამ ტერიტორიებს და ნატოც შორეული პერსპექტივაა?

– ასე არ არის. ჩვენ უნდა გავხდეთ სანიმუშო ქვეყანა, ძლიერი დემოკრატიით, კარგი ეკონომიკით, რომ აფხაზებმა და ოსებმა მოისურვონ ჩვენთან, ერთადერთ სახელმწიფოში ცხოვრება. ამ შემთხვევაში რუსეთს გაცილებით მეტი პრობლემები შეექმნება თავად ოკუპირებულ რეგიონებში. ამას ჩვენ უნდა მივაღწიოთ, ეს ნამდვილად არის ჩვენი გასაკეთებელი საქმე.

ჯეიმს აპატურაი: „ნატო შავ ზღვაზე ყურადღების კონცენტრაციას ახდენს“

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაის განცხადებით, ნატო ახდენს ყურადღების კონცენტრაციასა და ფოკუსირებას შავ ზღვაზე.

მისივე თქმით, ალიანსის სურვილია შავი ზღვის უსაფრთხოებაზე საუბარი უკრაინისა და საქართველოს ჩართვით.

– კომუნიკეზე მსჯელობა კიდევ მიმდინარეობს, ის ჯერ პროექტის დონეზეა, ამიტომ დეტალურად საუბარი ჯერ არ შეგვიძლია. რაც შეეხება განცხადებას, რომელზე მუშაობის პატივიც მე მქონდა, საქართველო უნდა ელოდოს იმას, რაც სურს, რომ საქართველოს მოსახლეობამ გაიგოს. ეს არის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება, ნატოს მხარდაჭერა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხები არის განცხადებაშიც, რაზეც ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას, გვენახა და მოგვეძებნა გზები, თუ როგორ გაგვეძლიერებინა ურთიერთობა არსებითი პაკეტისა და იმპლემენტაციის პროცესში. ახალ განცხადებაში საქართველოს მოქალაქეები ნახავენ რამდენიმე სიახლეს. ნატო ახდენს ყურადღების კონცენტრაციასა და ფოკუსირებას შავ ზღვაზე. პროცესი ფართოვდება იმ პროცესებიდან გამომდინარე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ყირიმში, ამ პირობებში ნატოს სურს გაფართოება და ამ დიალოგში ჩვენი პარტნიორების დაპატიჟება, იმ პარტნიორების, რომლებიც არიან შავ ზღვაზე და ზიანი მიადგათ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ასე ხდება, მაგრამ განცხადება დაადასტურებს, რომ დიალოგი იქნება რეგულარული. მსგავსი დიალოგი გვაქვს ბალტიის ზღვის ქვეყნებთანაც და მეგობრებთან, შვედეთთან და ფინეთთანაც. ჩვენი იდეაა, რომ ეს გადმოვიტანოთ შავი ზღვის ქვეყნებშიც. იდეა იყო შავი ზღვის უსაფრთხოებაზე საუბარი პროცესში უკრაინისა და საქართველოს ჩართვით. ვფიქრობ, ეს იქნება ახალი და რეგულარული იდეა, – განაცხადა აპატურაიმ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ინტერვიუში.

ნიუსპრესი

ნინო ბურჯანაძე: „საქართველოს პრობლემების მოგვარების გასაღები ნატო არ არის“

დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მიუხედავად ხელისუფლებისა და ცალკეული პოლიტიკური პარტიების დიდი მოლოდინებისა, ვარშავის სამიტზე არ იქნება არც მაპი, არც რაიმე გარღვევა.

– სრულიად ნათელია, რომ ვარშავის სამიტზე დადგება ზუსტად ის შედეგი, რომელიც მე არაერთგზის განმიცხადებია. მიუხედავად იმ მოლოდინებისა, რომელიც ჰქონდათ ხელისუფლებასა და ცალკეულ პოლიტიკურ ძალებს, მე ერთმნიშვნელოვნად ვამბობდი, რომ ვარშავის სამიტზე არ იქნება არც მაპი, არც რაიმე გარღვევა საქართველოსთან მიმართებით. დღეს უკვე გადაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ ჩემი პროგნოზი იყო აბსოლუტურად სწორი და ერთმნიშვნელოვნად რეალისტური, – აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მისი თქმით, ის განცხადებები, რომლებიც კეთდება, რომ ნატო ღია კარის დემონსტრირებას გააკეთებს, ის, რომ მეტი ნატო იქნება საქართველოში, უკვე მწარე ღიმილის მომგვრელია.

– განცხადებები, რომ საქართველო კიდევ უფრო იქნება დაცული, მე მახსენებს 2008 წლის აგვისტოს, როდესაც ძალიან ნათლად გამოჩნდა, რომ კრიზისულ ვითარებაში საქართველო არ იყო დაცული. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ საქართველო არ მოხვდეს, არ აღმოჩნდეს კრიზისულ ვითარებაში, იმიტომ რომ საქართველოს დაცულობა ნატოს მხრიდან ამ შემთხვევაში იქნება მხოლოდ და მხოლოდ დეკლარაცია და სხვა არაფერი, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერს ძალიან საშიშად მიაჩნია ხელისუფლების განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო იმაზე მეტად აქტიურად უნდა იყოს პროცესში ჩართული, ვიდრე ნატოს სახელმწიფოები, მათ შორის, როცა ლაპარაკია შავი ზღვის რეგიონის გამოყენებაზე.

– შენ ჩართული უნდა იყო პროცესში მაშინ, როდესაც გაქვს დაცვის ისეთივე გარანტიები, როგორიც ნატოს სახელმწიფოებს, მაგრამ, როდესაც ასეთი გარანტიები არ გაქვს, უნდა იყო ჩართული იმ დოზით, რა დოზის გარანტიებიც გაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას ვაყენებთ სერიოზული დარტყმის წინაშე! ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის განცხადება, რომელიც გააკეთა სტოლტენბერგმა. მან განაცხადა, რომ რუსეთი არის ევროპული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი – ეს არ არის შემთხვევით ნათქვამი სიტყვები, ასევე მნიშვნელოვანი გზავნილია და, მგონი, ჩვენთვის ჭკუის სასწავლელი. როგორც ხედავთ, ნატო-რუსეთის ურთიერთობები ძალიან სერიოზულად განახლდა და, ვფიქრობ, დროა, თავის მოტყუებას თავი დავანებოთ.

მე არავის მოვუწოდებ იმისკენ, რომ ჩვენ ნატოსთან საერთოდ არ ვითანამშრომლოთ და ურთიერთობები გავწყვიტოთ. ბუნებრივია, ჩვენ უნდა გვქონდეს ურთიერთობა, ვითანამშრომლოთ, მაგრამ დავანებოთ თავი საკუთარი თავისა და მოსახლეობის მოტყუებას, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. საქართველო ვერ გახდება ნატოს წევრი და არც უნდა გახდეს, იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არის ორი რუსული ჯარი და ამ ჯარებითა და აფხაზეთით და სამაჩაბლოთი არავინ მიგვიღებს ნატოში და ეს ერთხელ და სამუდამოდ ძალიან ნათლად უნდა ვთქვათ. კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ იმას, რომ საქართველოს პრობლემების მოგვარების გასაღები არის არა ნატოს წევრობა, არამედ უბლოკო სტატუსის გამოცხადება. არც ნატოს ჯარი და არც სხვა ორგანიზაციის ან სხვა სახელმწიფოს ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე! აი, საითკენ უნდა წავიდეთ და მე იმედი მაქვს, რომ მოსახლეობა ამას მხარს დაუჭერს, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილმა ნაციონალების ნაწილი კომპრომატებით გადაიბირა“

მეგი გოცირიძე: „შიხიაშვილმა მოიყვანოს მეჭიაური, ვოლსკი, თოფაძე და ცოცხალი კედელი აღმართონ დიდგორზე“

შორენა მარსაგიშვილი

ჩაეშლებათ თუ არა ნაციონალებს დიდგორის ველზე დაგეგმილი ყრილობა, როგორ გადაიბირა „ოცნებამ" ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.

– თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი აცხადებს, რომ ნაციონალებს დიდგორის ველზე ყრილობის ჩატარების უფლებას არ მისცემს. მისი თქმით, დიდგორში თქვენ ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს.

– სამართალი რომ იყოს, მიწა მაგის ფეხქვეშ უნდა იწვოდეს. მაგას ურჩევნია, თავის წარბებსა და წარსულს მიხედოს. მოდი და გული ნუ გაგისკდება, რომ გაიგებ, შიხიაშვილი დიდგორის ველზე არ გიშვებსო. მანამდე არ აუდგა გვერდები, სანამ მაგას ვკითხავთ, სად ჩავატარებთ ყრილობას.

– როგორც ამბობენ, ყრილობის ჩატარების ადგილმა პარტიაში უთანხმოებები გამოიწვია. შიხიაშვილის მუქარის შედეგ ხომ არ გადაიფიქრებთ?

– რა უნდა გადავიფიქროთ? ვინ მისცა უფლება შიხიაშვილს, ვინმეს სადმე წასვლას რომ უკრძალავს? ეტყობა, ივანიშვილმა დაავალა ამ განცხადების გაკეთება და ეგეც აკივლდა.

– ამბობს, რომ ალგეთელია და, როგორც ამ მხარის შვილი, არ აპირებს თქვენს დაშვებას დიდგორზე.

– ალგეთელი კი არა, ერთი ჩვეულებრივი მხედრიონელია. მაინტერესებს, როგორ აპირებს ჩვენს შეკავებას, შლაგბაუმს გაავლებს თუ რუსებისგან ინათხოვრებს მავთულხლართებს? თუ უნდა, მეჭიაური, თოფაძე და ვოლსკიც წამოიყვანოს და ერთად აღმართონ ცოცხალი კედელი. ჩვენ თუ გადავწყვეტთ დიდგორში ყრილობის ჩატარებას, ამას აუცილებლად გავაკეთებთ და ხელს ვერავინ შეგვიშლის.

– გამოდის, რომ ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი?

– სად ჩატარდება ჩვენი ყრილობა, ეს ჯერ დადგენილი არ არის. ასე რომ, შიხიაშვილს ვურჩევ, ნერვები მოთოკოს და საკუთარ წარსულს ჩაუღრმავდეს.

– მისი წარსული რამდენჯერმე ახსენეთ და რაიმე იცით?

– მე კი არა, მაგის შესახებ მთელმა საქართველომ იცის. ტყუილად ჰგონია, რომ არ ვიცით, როგორ აღმოჩნდა ივანიშვილის ბანაკში. „ქართუ ბანკის“ გაკოტრების ბრალდებით მასზე საქმე იყო აღძრული და რომ არ დაეჭირათ, გაქცდა, რის შემდეგაც ხალხის პოლიტიკური ნიშნით დევნა დაიწყო. კაცი „ქართულ ოცნებას“ რომ შეეკვრება, მისგან კარგს არაფერს უნდა ელოდო.

– ვის დევნიდა პოლიტიკური ნიშნით?

– ვის და ნაციონალებს. ჯერ საკრებულოდან გამოუშვა ხალხი, შემდეგ ვეტერანთა დეპარტამენტში მოაწყო წმენდა.

– თავად ამბობს, რომ ნაციონალები დევნიან მას და ვერაფრით პატიობთ, პარტია რომ დაგიშალათ.

– პარტია დაგვიშალა? დაშლილი არის მაგათი „ქართული ოცნება“ და მალე ელიავაზე ჩავაბარებთ დაშლილებში. მაინტერესებს. როგორ ვდევნით ჩვენ შიხიაშვილს? მხედველობაში თუ ის აქვს, რომ ამერიკის საინიგრაციო სამსახურთან გავუფუჭეთ საქმე, ეს ასეც იყო.

ვეტერანთა დეპარტამენტიდან შიხიაშვილი დიდი სკანდალებით გამოუშვეს. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ამ უწყებაში აუდიტის სამსახური იყო შესული და შიხიაშვილზე, შესაძლოა, საქმე აღიძრას. როგორც კი ეს სამსახური დაატოვებინეს, ამერიკაში გაიქცა და იქ თავშესაფრის მიღებას ცდილობდა. ამის შესახებ ჩვენთვისაც გახდა ცნობილი და ყველაფერი გავაკეთეთ, რომ იქ მას თავშესაფარი არ მიეღო.

– კონკრეტულად რა გააკეთეთ ამისთვის?

– ამერიკულ მხარეს მივაწოდეთ მასალები იმის შესახებ, თუ როგორ დევნიდა შიხიაშვილი ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით. ამერიკული კანონმდებლობის თანახმად, ის პირი ვერ მიიღებს დევნილის სტატუსს, რომელიც სხვებს დევნიდა. შიხასაც ასე მოუვიდა და გამოაბუნძულეს ამერიკიდან. აქ ჩამოსულმა ისევ გამონახა საერთო ენა ქოცებთან და ახლა არჩევნებში აპირებს მონაწილეობას. იმისთვის, რომ ხელშეუხებლობის გარანტიები ჰქონდეს, ივანიშვილის დავალებებს ასრულებს და ჩვენზე ათას სისაძაგლეს ამბობს. ასევე არიან სხვა გაქცებული ნაციონალებიც, რომლებიც ივანიშვილმა კომპრომატებით გადაიბირა.

– რა კომპრომატებზე საუბრობთ?

– ეს ივანიშვილს უნდა ჰკითხოთ. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მან კომპრომატებით გადაიბირა ყოფილი ჩვენი თანამოაზრეები. აბა ერთი კარგად გადახედეთ „ქართული ოცნების“ გუნდს, მისი 90% ყოფილი ნაციონალებისგან შედგება. ბევრ მათგანს, ალბათ, არც უნდოდა გაქცება, მაგრამ კომპრომატების გამოქვეყნების შეეშინდათ.

ესენი ის ნაციონალები არიან, რომლებიც 9 წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად წარმოადგენდნენ რეჟიმს. ადრეც ვიკითხე და ახლაც გავიმეორებ, ამ ხალხს რატომ არავინ ეძახის სისხლისმსმელებს? დავიჯერო, მარტო მე და მიშა ვსვამდით სისხლს და ესენი ფრთებს ატყლაშუნებდნენ?! მოღალატეებითა და გადაბირებულებით რომ არიან გატენილები, ამიტომაც მოხვდებიან ელიავაზე დაშლილებში.

– მოდით, ისევ კომპრომატებს დავუბრუნდეთ. თქვენ ამბობთ, რომ ივანიშვილმა მათი დახმარებით გადაიბირა ხალხი, არადა, ყველასთვის ცნობილია, რომ კომპრომატებით ნაციონალები აშანტაჟებდნენ ოპონენტებს.

– ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების უკან ჩვენ ვდგავართ. ეს ფირები მთელი 9 წლის განმავლობაში გროვდებოდაო, ამბობენ და ის 9 წელი ივანიშვილი ჩვენთან იყო. იქნებ და მისი დავალებით კეთდებოდა ეს ყველაფერი? იქნებ ის გაირკვეს, ვინ შეუძინა სახელმწიფოს მოსასმენი აპარატურა.

ფარული კადრები და კომპრომატები ივანიშვილს აქვს და ამით აშანტაჟებს ყველას. ვისი დაშანტაჟებაც ვერ შეძლეს, ფულით იყიდეს. იმათზე, ვინც ვერც იყიდეს და ვერც დააშანტაჟეს, ნამდვილი ნადირობა გამოცხადდა. ხელისუფლების მიერ წაქეზებული ლადო სადღობელაშვილი და მისი რაზმი დღისით, მზისით თავს ესხმოდნენ ჩვენს ოფისებს, რამდენჯერმე დაესხნენ თავს დეპუტატებსა და აქტივისტებს. აი, ეს არის დევნა და ნადირობა.

– პირადად თქვენ დაგესხათ თავს ვინმე?

– თავს არავინ დამსხმია.

– შანტაჟი ცადა ვინმემ?

– კომპრომატები არ ჰქონდათ და რითი დამაშანტაჟებდნენ, სამაგიეროდ, სამსახურიდან გამომიშვეს პოლიტიკური ნიშნით. მე რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოში ვიყავი და, როგორც კი იქ კოკა გუნცაძე მოვიდა, მითხრა, უნდა წახვიდეო. მე ისედაც წამოვიდოდი იქიდან, რადგან არანაირი სურვილი არ მაქვს, რუსეთის ფედერაციას ვემსახურო.

– აქ რუსეთის ფედერაცია რა შუაშია?

– შუაში კი არა, თავშია. „ქართული ოცნება“ რუსეთის ფილიალია და მათთან მუშაობა რუსეთის ფედერაციაში სამსახურს ნიშნავს. იქიდან წამოსვლაზე გული არ მწყდება, ამბავი კი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ გაიგოთ, ვინ დევნის ხალხს პოლიტიკური ნიშნით. ამ ყველაფერზე აუცილებლად აგებენ ქოცები პასუხს. შემოდგომამდე მოიცადეთ და შემოდგომაზე ყველა მათგანი წარდგება სასამართლოს წინაშე.

– შემოდგომაზე დიდ იმედებს ამყარებთ და „ქართული ოცნება“ ეჭვობს, რომ არეულობას აპირებთ.

– იმაზე მეტად როგორღა უნდა ავრიოთ ქვეყანა, რაც ამათ არიეს? ჩვენ ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით ვაპირებთ. ახლა თუ ვინმეს აწყობს არეულობა, ეს ხელისუფლებაა. ეს კორცხელშიც დაამტკიცეს, მაგრამ, როგორც იქ მიიღეს საკადრისი პასუხი, ასევე იქნება მთელ საქართველოში.

ძალაობის გარდა, სხვა უნამუსო გზებსაც მიმართავენ. თავად ხომ ვერაფერი გააკეთეს და ახლა ჩვენ მიერ ნაკეთებ საქმეებს მიიწერენ საკუთარ თავზე. ყველა პროექტი, რომლებიც ახლა ხორციელდება, ჩვენ დროს დაიწყო. ესენი ისეთი უნამუსოები არიან, იმ დღეს გამოვიდნენ და თქვეს, ანბანის კოშკი გავხსენითო. საქართველოში ყველამ იცის, რომ ეს ჩვენი პროექტი იყო. მინდა, მივმართო ქოცებს, სიღნაღს რომ გახსნით, სააკაშვილის დაპატიჟება არ დაგავიწყდეთ.

ნატო-ს გენერალური მდივანი: „საქართველო არის გაწევრიანების კანდიდატი ქვეყანა“

ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით, საქართველო არის ნატო-ში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყანა და ალიანსი მასთან მჭიდრო თანამშრომლობას განაგრძობს.

ამის შესახებ იენს სტოლტენბერგმა ნატო-ს სამიტის ოფიციალურ გახსნამდე ვარშავაში გამართულ საექსპორტო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ჩვენ ვმუშაობთ საქართველოსა და უკრაინასთან როგორც მჭიდრო პარტნიორებთან. რაც შეეხება საქართველოს, ეს კანდიდატი ქვეყანაა, ჩვენ ვმუშაობთ მასთან და მხარს ვუჭერთ მის ძალისხმევას, მოახდინონ შეიარაღებული ძალების მოდერნიზება, გაატაროს რეფორმები და მოვიდეს ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში.

ბოლო სამიტზე მივიღეთ არსებითი პაკეტი და მას შემდეგ, ამ პაკეტის შესრულებაზე ვმუშაობთ. ჩვენ გავაგზავნეთ მრჩევლები და ცოტა ხნის წინ ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი გავხსენით. ეს არის ძლიერი, მნიშვნელოვანი სიგნალი იმისა, თუ როგორ ვავითარებთ თანამშრომლობას და როგორ ვუჭერთ მხარს საქართველოს.

ჩვენ მივესალმებით საქართველოს პროგრესს და გავაგრძელებთ მის მხარდაჭერას, – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

მისი თქმით, ფუნდამენტური პრინციპია, რომ ყველა ქვეყანას აქვს უფლება, თავად აირჩიოს საკუთარი გზა, მათ შორის, უსაფრთხოების რომელი კავშირის წევრობა სურს.

– თუ საქართველო, უკრაინა ან სხვა რომელიმე ქვეყანა გადაწყვეტენ ნატო-ში გაწევრიანებას, გადაწყვეტილება იქნება მისაღები მხოლოდ ამ ქვეყნის და ალიანსის წევრების მიერ. არც ერთ სხვა სახელმწიფოს არა აქვს უფლება გვიკარნახოს, რა უნდა გავაკეთოთ, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადებით, მონტენეგროს ალიანსში გაწევრიანება არის დასტური იმისა, რომ ნატო-ს კარი ღია რჩება.

ინტერპრესნიუსი

იან კელი: „საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი“

ამერიკის ელჩი საქართველოში იან კელი ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური მდივანის ჯონ ქერის ვიზიტს აფასებს.

როგორც ის განმარტავს, ქერის ვიზიტი იყო მხარდაჭერა საქართველოს მისწრაფებებისა ევროატლანტიკური მიმართულებით.

– ქერის ვიზიტის მთავარი გზავნილი გახლდათ მხარდაჭერა საქართველოს მისწრაფებისა, გახდეს ნატოს წევრი. დღეს პრემიერმა, პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ დაამტკიცეს საქართველოს სწრაფვა გახდეს ალიანსის ოჯახის ნაწილი. აშშ უჭერს მხარს გადაწყვეტილებას, რომელიც 2008 წლს იქნა მიღებული, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი სახელმწიფო, – განაცხადა იან კელიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი საქართველოს 6-7 ივლისს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის პლენარული სხდომა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თავმჯდომარეობით. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში პარტნიორობის გაღრმავებისა და ურთიერთგაგების მემორანდუმს საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

ნიუსპრესი

მდინარე აბაშისწყალში 17 წლის ბიჭის ცხედარი იპოვეს

მარტვილში, მდინარე აბაშისწყალში მოზარდის ცხედარი იპოვეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, 17 წლის ბიჭის ცხედარი მდინარიდან ამოიყვანეს.

სამძებრო სამუშაოებში 40-მდე მაშველი და მყვინთავი მონაწილეობდა. მაშველები ადგილზე თბილისიდან და ბათუმიდან ჩავიდნენ.

ინტერპრესნიუსი

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ააიპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავების და კომუნალური მომსახურების სამსახურის“ დირექტორი დავით ღ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დავით ღ. საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ნაგვის ურნების სარემონტო სამუშაოები უნდა შეესრულებინა, აღნიშნული სამუშაოების ააიპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურ“-ში შეუფერხებლად მიღება-ჩაბარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც მოსთხოვა და გამოართვა 2500 ლარი.

გამოძიება კომერციული მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 6 წლამდე ითვალისწინებს).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ლალი აფციაური: „ელენე თევდორაძემ მითხრა, რომ ციხის ბუნტი ბოკერიამ ჩაახშობინა“

ნონა ცაბაძე

უფლებადამცველის, შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის გამოჩენამ ტელეეკრანებზე და რეჟიმის დანაშაულზე გაკეთებულმა განცხადებებმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. გაისმა კითხვა, თუ სად იყო აქამდე ელენე თევდორაძე, თუმცა უფლებადამცველთა დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ ის შეძლებისდაგვარად არასდროს დუმდა.

ჩვენ, პირველ რიგში, ელენე თევდორაძეს დავუკავშირდით, მაგრამ მან ინტერვიუზე კატეგორიული უარი განაცხადა.

– რაც სათქმელი მქონდა, უკვე ვთქვი, ბოდიშს გიხდით, მაგრამ ამ თემებზე ველარ ვისაუბრებ, – გვითხრა ქალბატონმა ელენემ.

ადვოკატი ლალი აფციაური „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პირველად ახმოვანებს ინფორმაციას, რომელიც წლების წინ ელენე თევდორაძემ მიაწოდა, საქმე ციხის ბუნტს ეხება. როგორც უფლებადამცველი იხსენებს, მან პირველივე დღიდან იცოდა, თუ ვინ იყო ამ სპეციპერაციის დამკვეთი, თუმცა წყარო არასოდეს დაუსახელებია.

ლალი აფციაური:

– იმ პერიოდში მე ორთაჭალაში ვცხოვრობდი და „რეზბალნიცასა“ და მეხუთე საპყრობილეს პირდაპირ ვხედავდი. სროლის ხმამ გამაღვიძა, აივანზე რომ გამოვედი, პირველი, რაც დავინახე, ეს იყო თვითონ საკნებიდან გამომავალი მანათობელი ტყვიები. შემდეგ ეს პატიმრებმაც დაადასტურეს. მათ გაუღეს რკინის კარზე არსებული პატარა ფანჯარა და იქიდან ესროდნენ ჯერით. ვინაიდან ყველაზე ახლოს ვცხოვრობდი, პირველს მე მომიხდა იქ მისვლა.

– რა დაგხვდათ იქ?

– მე რომ მივედი, სურათი იყო ასეთი: პოლიციის მანქანები და ციხის ცენტრალურ რკინის კარში შედიოდნენ ჯავშანტრანსპორტიორები. უკვე დაწყებული იყო სპეციპერაცია. იმდენად გაოგნებული ვიყავი, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, მანქანა არც კი გამიჩერებია, მიმავალი მანქანიდან გადმოვხტი, მანქანა ბორდიურს დაეჯახა და ისე გაჩერდა. გავრბოდი პირდაპირ ციხის მიმართულებით. ცხადია, იქ არავინ შემიშვებდა. უცებ გადამიკეტეს გზა, მტაცეს ხელი და, რომ არა ისევ ჟურნალისტები და კამერები, კაცმა არ იცის, რას მიზამდნენ, ალბათ, ცოცხალი აღარ ვიქნებოდი.

– შიგნით რა ხდებოდა იმ დროს, არ იცოდით? უბრალოდ, ხვდებოდით, რომ არეულობა იყო?

– რასაკვირველია, ამას ვინ მეტყოდა. ინსტინქტურად ვმოქმედებდი. რაც არ უნდა გასაოცრად მოგეჩვენოთ და, ალბათ, ამაში ბევრი უფლებადამცველი დამეთანხმება, რომ ელენე თევდორაძესთან ყოველთვის არსებობდა კავშირი. რა დროსაც გინდათ დაგერეკათ უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, ყოველთვის მზად იყო, მოესმინა, წამოსულიყო, ჩვენთან ერთად შეემოწმებინა ის კონკრეტული დარღვევა, რაზეც მივუთითებდით. არაერთხელ ვყოფილვარ მასთან ერთად ქუთაისის საპყრობილეში.

– თუმცა ხმამაღლა მაინც ვერ საუბრობდა?

– რაღაცებს ხმამაღლაც ამბობდა. იცით, რატომ მაქვს ეს დამოკიდებულება ქალბატონი ელენეს მიმართ? იმ პერიოდისთვის ისიც საკმარისი იყო, რასაც აკეთებდა. იმ ბუნტის დროს, როდესაც მეორე დღეს შევხვდით ქალბატონ ელენეს, კატეგორიულად ვითხოვდი მე ინფორმაციას, თუ ვინ გასცა ბრძანება. ხან ერთ ჩინოვნიკს ვასახელებდით, ხან მეორეს, ხან მერაბიშვილის გვარი სახელდებოდა, ხან ადეიშვილის, რომელიც მთავარი პროკურორი იყო და რომლის გარეშეც არაფერი მოხდებოდა. აი, ზუსტად ამ დროს მითხრა ელენემ და მომიყვა ის თემა, რომელიც ამ ბოლო დღეებში თქვა.

– კონკრეტულად რა გიამბოთ?

– მე და ელენე ვიყავით მხოლოდ და მითხრა, იმიტომ, რომ ზუსტად იცოდა, წამებაში რომ ამოეხადათ სული, არ გავცემდი ამის მთქმელს. არ შეიძლება დაუკარგო ადამიანს, რაც გაკეთებული აქვს, თუნდაც მხოლოდ ერთი ნაბიჯი ყოფილიყო გადადგმული. ამდენი ხნის შემდეგ პირველად ვამბობ, რომ დიახ, სწორედ ელენე თევდორაძე იყო, ვინც ჩემთან საუბარში შემკვეთის ვინაობა დაასახელა.

– და ვინ იყო ეს შემკვეთი?

– რომ ეს იყო სწორედ გიგა ბოკერია. რანაირად არ ვეცადე და ვერაფრით ვერ შევძელი მისი შეჩერებაო. ის იმდენად აღშფოთებული იყო, რომ ვფიქრობდი, შესაძლოა, აღარც დარჩენილიყო იმ სისტემაში, სადაც ბოკერიები და დანარჩენები იყვნენ. მიმაჩნია, რომ ისიც დიდი საქმე იყო, რაც მე ელენემ მითხრა იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

ყველა ინფორმაციის ამოღება შემიძლია, ნაცებს ეს ყველაფერი დავუარქივე და ამოვიღებ ყველა ინფორმაციას! ფაქტი სახეზეა, რამდენი ადამიანი გარდაიცვალა, რამდენმა მიიღო ისეთი ტრავმა, რაც შემდგომში გახდა მათი გარდაცვალების მიზეზი, თუნდაც იგივე სულხანი რომ ავიღოთ.

– ანუ ბუნტის თემა რომ ამოვწუროთ, ეს არის ბოკერიას კისერზე?

– დიახ. მე ამაზე თავიდანვე ვსაუბრობდი, თუმცა, რასაკვირველია, წყარო არ დამისახელებია და დღეს თქვენთან ვთქვი პირველად. სულ ვამბობდი, რომ ზუსტად ვიცი, ბრძანება გასცა ბოკერიამ, თუმცა წყარო არ დამისახელებია, ან კი როგორ ვიტყოდი, ხომ არ მოვაკვლევინებდი ქალს.

– მოლაშვილის წამების შესახებ უკვე ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა. ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ მას აწამებდა პატიმართა ერთი ჯგუფი სააკაშვილისა და ადეიშვილის დავალებით. ასე იყო?

– ზუსტია ეს ინფორმაციაც. განა დამალული იყო ვინმესთვის, რომ ხელისუფლებას ციხეში ჰყავდა თავისი „ნასედკები“ და მათი ხელით რას არ აკეთებდნენ.

ქუთაისში წავედით ელენე თევდორაძესთან ერთად, ვინაიდან ჩვენთან შემოვიდა არაერთი ინფორმაცია, რომ არსებობდა კატეგორია პატიმრებისა, რომლებსაც ამუშავებდნენ ისევ პატიმრების წინააღმდეგ. ისინი ქუთაისის ციხეში კომფორტულად ცხოვრობდნენ. მთელი ციხე მოვიარეთ და ვერ ვიპოვეთ მათი საკანი და პატიმარმა ქალმა მიგვასწავლა, რომლებსაც ციხეში „გიუ ირმას“ ეძახდნენ.

მივადექით ერთ დიდ ოთახს, ხალიჩებზე იყო აწყობილი, პირდაპირი მნიშვნელობით, ყველაფრით უზრუნველყოფილი. ასეთ პატივში ჰყავდათ ეს „ნასედკები“. ეს მომენტი უცხო არავისთვის იყო, მათ ჰყავდათ თავიანთი მაყურებლები, ისეთები, რომლებიც პატიმრებს სცემდნენ, საჩივრის დაწერის უფლებას არ აძლევდნენ.

– ანუ მოლაშვილის წამებასაც პატიმრების ჯგუფს ავალებდნენ?

– კი, ასე იყო. მათ ჰყავდათ თავიანთი „მეგობარი“ პატიმრები, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებული, ყველანაირი მნიშვნელობით. მათი დახმარებით საქმეებს „ხსნიდნენ“, თითხნიდნენ და ყველანაირ ფორმაზე მიდიოდნენ.

– ქალაქის ყოფილმა პროკურორმა, ვალერი გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ სულხან მოლაშვილმა თავად მიიყენა თერმული დაზიანებები. ამის თაობაზე რას იტყვით?

– გრიგალაშვილი მარტო მაგ სიტყვებისთვის არის დასაჭერი, მეტი არაფრისთვის! მე ერთხელ შევხვდი ციხის საავადმყოფოში ყოფნის დროს სულხანს. მამა ბასილის ინტერესებს ვიცავდი მაშინ. მამაოსთან ვიყავი შესული და მან მთხოვა, წავიდეთ, სულხანი ვნახოთ, გაჩვენებ, რა მდგომარეობაშიაო.

მე მაშინ თავი ვერ ავწიე, რომ სულხანისთვის თვალებში შემეხედა, იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო ის. გრიგალაშვილი, რომელიც პროკურორი იყო იმ პერიოდში, ვალდებული იყო, მინიმუმ, გამოძიება დაეწყო. უამრავი ინფორმაცია გამოდიოდა კეთილსინდისიერი ადვოკატების მიერ სულხანის წამების შესახებ, ამაზე იწერებოდა, რატომ არ დაინტერესდა ამ ფაქტით?! მანახოს გრიგალაშვილმა, სად დაიწყო გამოძიება?! სად არის ეს მასალები?! მარტო ამისთვის უნდა დაიჭირონ ის!

მაიკლ კოფმანი: „საქართველოს თემა ნატოს დღის წესრიგში ერთ-ერთ ურთულეს საკითხად რჩება“

„Radio Voice of America“ -ს უკრაინული ბიურო აქვეყნებს ინტერვიუს საერთაშორისო ექსპერტების უილსონის ცენტრის მიმომხილველ მაიკლ კოფმანთან, სადაც რესპონდენტი საქართველოს შესახებაც საუბრობს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

ვარშავა 8 და 9 ივლისს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის სამიტს მასპინძლობს. ნატოსა და ტრანსატლანტიკური ურთიერთობებისთვის გამოწვევები დიდია.

უმაღლესი დონის შეხვედრაზე ნატო პარტნიორ ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს მხარდაჭერას გამოუცხადებს. ალიანსი მათ თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებაში დაეხმარება, რათა პარტნიორები „წინ აღუდგნენ გარეშე ძალების ზეწოლას და გაგრძელონ რეფორმები.“ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ეს განცხადება რამდენიმე დღის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გააკეთა.

საერთაშორისო ექსპერტების უილსონის ცენტრის მიმომხილველი მაიკლ კოფმანი ნატო-საქართველოს მომავალ ურთიერთობებსა და სამიტის შესაძლო შედეგებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ საქართველოს საკითხი ალიანსის დღის წესრიგში ერთ-ერთი ურთულეს საკითხად რჩება.

მაიკლ კოფმანთან ინტერვიუ „ამერიკის ხმის“ უკრაინულმა რედაქციამ ჩაწერა:

– დღეს ნატოსთვის ერთ-ერთი ურთულესი საკითხია, თუ რა ფორმით გააგრძელოს ურთიერთობა საქართველოსთან. ნათელია, რომ ალიანსის რამდენიმე წევრს დღეს, ან უახლოეს მომავალში საქართველოს ნატოში ხილვა არ სურს. ამავე დროს ნათელია, რომ მათ არც საქართველოს მიტოვება უნდათ და ცდილობენ, რაღაც გააკეთონ. ვფიქრობ, ნატო საქართველოსთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას გააღრმავებს და კიდევ, ნატოს წევრი სახელმწიფოები შეეცდებიან, საფუძველი ჩაუყარონ საქართველოსთან რაიმე ახალი ტიპის ურთიერთობას, რომელსაც არ ერქმევა გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, ან სამოქმედო რუკა, მაგრამ იქნება უფრო არსებითი, ვიდრე ალიანსისა და საქართველოს დღევანდელი ურთიერთობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატო საქართველოს პოლიტიკურად არ მიატოვებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯებს გადადგამს. ასეთია ალიანსში დღეს არსებული რეალობა. უკრაინამ კი, ჩემი აზრით, თვალყური უნდა ადევნოს საქართველოს გარშემო მიმდინარე პროცესებს, რადგან საქართველო უფრო შორსაა წასული იმ გზაზე, რის გავლასაც უკრაინა აპირებს, – ამბობს მაიკლ კოფმანი ინტერვიუში.

სამიტის ფარგლებში ნატო-საქართველოს კომისიაც შეიკრიბება, თუმცა ალიანსის ლიდერები უმთავრესად ავღანეთსა და სხვა გლობალურ პრობლემებზე იმსჯელებენ.

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მიმომხილველი, ენტონი კორდესმანი, რომელიც ასევე პენტაგონის ყოფილი მაღალჩინოსანია, სამიტზე განსახილველ საკითხებს ასე ხედავს:

ალიანსი საკვანძო გამოწვევების პრიორიტეტიზაციას ვერ მოახდენს. ის ყველა მათგანს უნდა გაუმკლავდეს. ავღანეთში არსებული პრობლემა სერიოზულია, ის თავისით არ გაქრება. სერიოზულია რუსეთის საკითხი და გამოწვევები ბალტიის ქვეყნებში. მოსაგვარებელია ვითარება ნატოს არაწევრ ქვეყნებთან დაკავშირებითაც-მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა ფინეთი და შვედეთი. გაერთიანებული სამეფოს გასვლა, ასევე ითხოვს ნატოს რეაგირებას – როგორ მოხდება ალიანსის მხრიდან ახლებური რეალობის გათავისება. და ბოლოს, ტერორიზმი, სიტუაცია ერაყში, სირიასა და ლიბიაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ალიანსი წარსულში არაერთ პრობლემას პარალელურ რეჟიმში გაუმკლავდა, ახლაც ასეთი კომპლექსურია რეალობა და ალიანსი მათ იგნორირებას უბრალოდ ვერ მოახდენს.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების შემდეგ ეტაპზე ალიანსის ლიდერები უფრო კონკრეტულად მომავალი ორი დღის განმავლობაში იმსჯელებენ.

ნიუსპრესი

“eutsche Welle“ (გერმანია): „ქართველებს კითხვა ებადებათ: მაშ რისთვის იღუპებიან ჩვენი ჯარისკაცები ავღანეთში?“

გავლენიანი გერმანული რადიოსადგურის „დოიჩე ველეს“ („გერმანული ტალღის“) მიერ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვარშავის სამიტის გახსნასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარია უკრაინისა და საქართველოს პერსპექტივებზე. მასში აღნიშნულია, რომ ამჟამად პოლონეთის დედაქალაქში ორივე ქვეყნის პრეზიდენტები არიან ჩასულნი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის შემოკლებულ ვერსიას:

ქართველი ექსპერტების აზრით, თბილისმა ბევრი რამ გააკეთა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებისათვის. „დოიჩე ველეს“-სთან ინტერვიუში ქართული პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი კორნელი კაკაჩია ამბობს, რომ ქართველი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობდნენ ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში ერაყსა და ავღანეთში. გარდა ამისა, 2015 წლის აგვისტოში თბილისთან ახლოს ნატოს სასწავლო-საწრთვნელი ცენტრიც გაიხსნა, ხოლო 2016 წლის მაისში საქართველოში ნატოს ჯარისკაცებთან ერთად სამხედრო მანევრებიც ჩატარდა კოდური სახელწოდებით „ღირსეული პარტნიორი“.

„მაგრამ ყველანაირი ძალისხმევის მიუხედავად, საქართველომ ალიანსში გაწევრიანების გეგმა, ე.წ. „მაპ“-ი მაინც ვერ მიიღო, რასაც მოსახლეობაში დაბნეულობისა და იმედგაცრუების გამოწვევა შეუძლია. ქართველებს კითხვები ებადებათ: აბა, მაშ რისთვის იღუპებიან ჩვენი ჯარისკაცები ავღანეთში?“, – ამბობს კორნელი კაკაჩია. პოლიტოლოგის აზრით, ასეთ სიტუაციას ნამდვილად შეუძლია ქართველ საზოგადოებაში პრორუსული განწყობები გამოიწვიოს.

გიორგი გობრონიძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან, „დოიჩე ველე“-სთან საუბარში საქართველო-ნატოს ურთიერთობის პერსპექტივას იმედიანად აფასებს: მისი თქმით, „დარწმუნებული ვარ, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ თბილისის თანამშრომლობა ალიანსთან ახალ, უფრო მაღალი ხარისხის დონეზე გადავა. ჩვენ ნატოში სწრაფი გაწევრიანების ცრუ იმედები არ უნდა გვქონდეს. ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი დემოკრატია და გარდაქმნები. ნატო ჩვენში არა მხოლოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიას ხედავს, არამედ როგორც პროგნოზირებულ და საიმედო პარტნიორს“.

კორნელი კაკაჩია, თავის მხრივ, თვლის, რომ მოსალოდნელია ნატოს ჩართვა შავი ზღვის აუზში პატრულირების განხორციელებაში. იგი ეთანხმება თვალსაზრისს, რომლის თანახმად, „ნატო თბილისისაგან რეფორმების გაგრძელებას და სტრატეგიული თმენის გამოხატვას ელოდება მანამ, სანამ პოლიტიკური სიტუაცია არ შეიცვლება“.

ნიუსპრესი

მარიამ მჭედლიშვილი

პაატა ჯიბლაძე: „ჩვენ სამხედრო ნეიტრალიტეტის მომხრე ვართ“

„ქართული ოცნება“ ვერ გაბედავს, რომ ხალხს წინასაარჩევნოდ კიდევ ერთხელ დაჰპირდეს სამართლიანობას“

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ნატოს ვარშავის სამიტის გახსნის წინ განაცხადა, რომ საქართველოს დეელეგაციას ზუჩგს უმაგრებს დეკლარაცია, რომელსაც საპარლამენტო პარტიებმა მოაწერეს ხელი. მასში გამოთქმულია ერთიანი პოზიცია საქართველოს საგარეო ჯერის მიმართ.

რა დამოკიდებულებაა ამ საკითხის მიმართ საქართველოს საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში? მემარცხენე ალიანსის პოლიტიკური ლიდერი პაატა ჯიბლაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მისი პარტია აქტიურად უჭერს მხარს ევროკავშირში ინტეგრაციას, მაგრამ ყველანაირ სამხედრო ბლოკში წევრობის წინააღმდეგია.

პაატა ჯიბლაძე:

– სასიცოცხლოდ მიგვაჩნია საქართველოს დაახლოება ევროკავშირთან. ეს უზარმაზარი ბაზარია. ევროპის სახელმწიფოებთან უვიზო მიმოსვლა, თუნდაც მოკლევადიანი, ძალიან სჭირდებათ ჩვენს მოქალაქეებს. ვიზალიბერალიზაციაც აუცილებელია. სხვა საკითხია სამხედრო ბლოკები. ამ მხრივ ნეიტრალიტეტის მომხრე ვართ. საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა იდგეს რუსეთის საოკუპაციო ჯარი. საქართველომ თავი უნდა შეიკავოს სხვა სამხედრო ბლოკებში შესვლისგანაც. ჩვენი მოვალეობაა, ჩვენივე პრობლემების გამო დაველაპარაკოთ რუსეთს.

– რუსეთთან დალაპარაკება რას მოგვიტანს?

– დიალოგის უქონლობას რაღა მოაქვს? მცოცავი აგრესია და ჩვენი მოქალაქეების გატაცებები? ჩვენ ამ ადამიანებს ვერ ვიცავთ. სიტუაცია მუდმივად დაძაბულია. სამხედრო ნეიტრალიტეტით ჩვენ დაძაბულობას განვმუხტავთ. გვინდა თუ არა, რუსეთთან დალაპარაკება აუცილებელია.

– ასე ფიქრობენ ნინო ბურჯანაძის პარტიაშიც. ისინი უბლოკო სტატუსის შესახებ კონსტიტუციაშიც ახდენენ ჩანაწერის ინიცირებას. გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობასთან ერთად ხომ არ აპირებთ საარჩევნოდ გაერთიანებას?

– არა. ამ პარტიამ განაცხადა, რომ დამოუკიდებლად მონაწილეობს საპარლამენტო არჩევნებში. ევროკავშირის მიმართ მხარდაჭერა და სამხედრო ნეიტრალიტეტი მემარცხენე ალიანსის შექმნისთანავე გამოვაცხადეთ. ხალხში ამ იდეებმა მოწონება დაიმსახურა. გაერთიანებულ დემოკრატებსაც ასეთი პოზიცია აქვთ. ჩვენ ჩვენივე იდეოლოგიის პარტიებთან გავერთიანდებით ანუ იმათთან, ვინც მემარცხენე ცენტრისტები არიან და ეროვნულ იდეოლოგიასაც მისდევენ. მათში არ იგულისხმებიან ნაციონალური მოძრაობის სატელიტები. ჩვენი ლოზუნგია „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

– ეს ახლა აქტუალურია?

– რა თქმა უნდა. საქართველო რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო რომ გახდეს, ბრმად და უტყვად არ უნდა ასრულებდეს სხვის რეკომენდაციებს.

– რას გულისხმობთ?

– უცხოელი მეგობრები გვაძლევენ რეკომენდაციებს. ბევრი მათგანი სასარგებლოა, მაგრამ ზოგიერთი ბოლომდე მისაღები არ არის. თუ დამოუკიდებლები ვართ, ხანდახან ხომ უნდა ამოვიღოთ ხმა და ვთქვათ, რა არის ჩვენთვის გამოუსადეგარი! არ შეიძლება ყველა რეკომენდაციის 100%-ით შესრულება! როცა ჩვენი აზრების დასაბუთებას შევძლებთ, დამოუკიდებლები მაშინ ვიქნებით.

– ბოლო დროს ისევ აქტუალური გახდა სამართლიანობის აღდგენის თემა. სააკაშვილის მმართველობის დროს ნაწამები სულხან მოლაშვილის გარდაცვალებამ ეს საკითხი ისევ დააყენა დღის წესრიგში.

– მოვუწოდებ ხელისუფლებას, ახლა მაინც გამოიძიოს სულხან მოლაშვილის წამების საქმე, რაზეც მან ადრე ჩვენებები მისცა. 2012 წელს ხალხი „ქართული ოცნების“ კოალიციას მხარს უჭერდა იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობის გასტუმრების შემდეგ დამყარებულიყო სამართლიანობა. პასუხი უნდა ეგოთ იმათ, ვინც გასვრილია უამრავი ადამიანის უკანონოდ დაპატიმრებაში, წამებაში, დახოცვაში. სააკაშვილის რეჟიმმა ძალიან ბევრი ადამიანი ცარიელ-ტარიელი დატოვა.

იმის მაგივრად, რომ დაეწყოთ დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა, მათი თანამდებობებიდან ჩამოცილება, ჩვენ მივიღეთ უმოქმედობა და ნაცმოძრაობის გაძლიერება. ახლა ნაციონალები გვიცხადებენ, რომ ისინი დაამყარებენ სამართლიანობას და გამოაცხადებენ ამნისტიას. ასეთი რამ მსოფლიოში არსად ხდება. ყველგან მოქმედებს კანონი. მაგალითად, ახლა ტონი ბლერს უყენებენ ბრალდებებს. გადაცდომებს არავის არსად პატიობენ. საქართველოში უნდა შეიქმნას სამართლიანობის დამკვიდრების პრეცედენტი, რათა მომავალში დანაშაული ვერც მაღალჩინოსნებმა ჩაიდინონ, ვერც სასამართლოსა და პროკურატურის მოხელეებმა.

– გარისკავს „ქართული ოცნება“, რომ თავის წინასაარჩევნო დაპირებებში სამართლიანობის აღდგენა შეიტანოს?

– სიმართლე გითხრათ, „ქართული ოცნების“ კამპანია არ მაინტერესებს. რომ შეიტანოს ეს საკითხი თავის წინასაარჩევნო დაპირებებში, ხალხი ამას არ დაიჯერებს. როგორ დაიჯერებს, როცა ამდენი დაზარალებულია საქართველოში და 99%-მა სამართალს ვერ მიაღწია.

გიორგი გაჩეჩილაძე: „ნაციონალები ცდილობენ, რუსეთის მხარდაჭერა მოიპოვონ“

რატომ იმუშავა მწვანეთა პარტიამ გიგი წერეთლის წინააღმდეგ

გულიკო ბალაძე

მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან" ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ვიზიტს და ამერიკასთან გაფოხმებულ მემორანდუმს აფასებს.

მისი თქმით, ყველაფერი, რაც ახლა ხდება, მიუთითებს იმაზე, რომ მომავალში შესაძლებელი გახდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

– ბატონო გიორგი, წინასაარჩევნო პერიოდში, ვარშავის სამიტის წინ, ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ვიზიტი რას ნიშნავს?

– ეს ვიზიტი ნიშნავდა საქართველოს მხარდაჭერას ვარშავის სამიტის წინ იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს აქვს ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან. რუსეთი აგრძელებს თავის აგრესიულ მოქმედებებს თავის საზღვრებთან. ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობა, როგორც ნატო, შეერთებული შტატები, ევროკავშირი ერთობლივად ნაბიჯებს დგამენ, რომ აღმოსავლეთ ევროპას როგორმე თავიდან აარიდონ ახალი აგრესია.

ამიტომ, ბუნებრივია, კერის ვიზიტის დროს საქართველოსთან გაფორმებულ მემორანდუმში აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ქვეყანამ უნდა გააძლიეროს და მოდერნიზება გაუკეთოს თავის თავდაცვისუნარიანობას. ამერიკელებთან ერთად დაიწყება ჩვენი საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო საზღვრების გაძლიერება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საფრთხეების არიდებისთვის.

– საზღვრების კონტროლის გაძლიერებაში ერთობლივი კონტროლიც ხომ არ იგულისხმება?

– ძნელი სათქმელია. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ცალკე მემორანდუმები და ხელშეკრულებები იქნება. მემორანდუმში ძირითადი პრინციპებია ჩამოყალიბებული იმისთვის. რომ მთელ რეგიონს და მათ შორის საქართველოს როგორმე თავიდან აარიდონ ახალი აგრესია და ახალი უბედურება. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ სიტუაცია ნელ-ნელა მიიწევს იქითკენ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ.

– რუსეთისგან საფრთხის შემცველ კონკრეტულ აგრესიულ ქმედებად რა მიიჩნევა?

– კონკრეტული აგრესიული ქმედება საქართველოდან დაიწყო და უკრაინის წინააღმდეგ ხორციელდება. მეტი აგრესია რა უნდა იყოს, სხვისი ქვეყნის ტერიტორიაზე საომარ მოქმედებებს ახორციელებს. ეს XIX საუკუნის მენტალიტეტია, რაღა დროს დაპყრობითი ომებია. მით უმეტეს, რუსეთის შიგნითაც სერიოზული პრობლემებია. ახლახან პუტინმა მოაწერა ხელი კანონპროექტების პაკეტს, რომელიც რუსეთს 30-იანი წლების რეჟიმის პირობებში აბრუნებს. 14 წლის ასაკის ზევით ბავშვების დაპატიმრებაც კი დაუშვეს. ბიუჯეტს ვეღარ ავსებენ. სერიოზული სოციალური პრობლემებია.

– რა პრობლემებია?

– ინვესტიციები არ შედის. ტექნოლოგიები აღარ არის. სერიოზული კრიზისის წინაშე დგანან. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, არსებული სამხედრო პოტენციალით აბრიალოს თვალები და თავისი შეიარაღებული ძალებითა და ატომური ბომბით შეაშინოს ნახევარი მსოფლიო. აქედან გამომდინარე, საფრთხეებიც არსებობს. ამიტომ ხელისუფლება უნდა გაფრთხილდეს და მჭიდრო და აქტიური კავშირები ჰქონდეს ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან – აშშ-სთან და ევროკავშირთან.

– თქვენ მითხარით, რომ ახლა მოვლენები ისე ვითარდება, გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელი იქნება. კონკრეტულად, თქვენ ამის რა ნიშნებს ხედავთ?

– ვფიქრობ, სეპარატისტულ რეგიონებში ისეთი სიტუაცია იქმნება – ჩვენთან თუ დემოკრატიული პროცესები, ეკონომიკა მაღალი ტემპით განვითარდება, ჩვენი აფხაზი და ოსი მეგობრების ინტერესი აქეთ უფრო იქნება, ვიდრე ეკონომიკურ კრიზისში მყოფი რუსეთისადმი.

– რუსის ჯარი მათ არ მისცემს ჩვენთან შერიგების საშუალებას.

– ჰო, მაგრამ საზოგადოებაზე მაინც ბევრი რამ არის დამოკიდებული. რუსის ჯარი იქაურ მოსახლეობას დაერევა? საზოგადოების მოთხოვნილება აუცილებლად გაჩნდება, რომ შეინარჩუნონ თავისი ეთნიკური იდენტობა. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა. ბევრი რამ ჩვენზეც არის დამოკიდებული.

– ჩვენ რის გაკეთება შეგვიძლია?

– როგორმე საზოგადოებრივი კავშირები უნდა აღვადგინოთ. ნატოსთან უნდა ვიმეგობროთ. ცხოვრების დონე ჩვენთან უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ჩვენს მეზობელ ქვეყნებში და დემოკრატიული სისტემები მძლავრი უნდა იყოს, რომ ადამიანებმა თავისუფლად იცხოვრონ. ეს ყველაფერი საფუძველია იმისა, რომ ისინი ჩვენსკენ შემოვატრიალოთ.

– კერის ვიზიტი მმართველი პარტიისა და დღევანდელი მთავრობის მიმართ ერთგვარ მხარდაჭერასაც ხომ არ ნიშნავს?

– ბუნებრივია. კერის ვიზიტი და მისი შეხვედრები გვიჩვენებს, რომ ძირითადი აქცენტები იყო საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებაზე, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე, რაც პირდაპირ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მხარდაჭერაზე მიუთითებს. რა თქმა უნდა, არჩევნებზეც იქნებოდა საუბარი, მაგრამ სხვა კუთხით. ისაუბრებდნენ იმ საფრთხეებზე, რაც არჩევნების შემდეგ შეიძლება შეიქმნას საქართველოში რუსული რბილი ძალის მიერ.

– რბილი ძალის?

– დიახ, რუსული რბილი ძალა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოში ნაცმოძრაობისა და მისი სატელიტი ორგანიზაციების საშუალებით, სერიოზულ საფრთხეს ქმნიან.

– კერძოდ, რა საფრთხეს ქმნიან?

– 2003 წლის სცენარის განმეორების საფრთხეს ქმნიან. თუ დააკვირდებით ნაცმოძრაობის ლიდერებს და მათი ტელევიზიების კონტექსტს, მთლიანად ამაზე მუშაობენ. ამბობენ, არჩევნები აუცილებლად გაყალბდება, არ იქნება სამართლიანი. საერთაშორისო ორგანიზაციებში დარბიან და ლაპარაკობენ, რომ კანონმდებლობა ცუდია. რამე რომ იყოს, ნიადაგს ამზადებენ.

არა მგონია, რამე გამოუვიდეთ. საზოგადოება მათ არ აჰყვება, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ცდილობენ, ჩრდილოელი მეზობლის მხარდაჭერა მოიპოვონ. მოგეხსენებათ, რუსეთის დელეგაციამ ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ გიგი წერეთელს მხარი დაუჭირა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე.

– ეს რას ნიშნავს და რით ახსნით რუსების მხრიდან ნაციონალების მხარდაჭერას?

– არჩევნებზე ეუთო ძირითადი დამკვირვებელია. ნაცმოძრაობის ლიდერს ეუთოს პრეზიდენტად ყოფნის შემთხვევაში სერიოზული გავლენები ექნებოდა ამ ორგანიზაციაში და იმ სცენარის განხორციელებას შეუწყობდა ხელს, რასაც ამზადებენ. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ გიგი წერეთელი ეუთოს პრეზიდენტად არ აერჩიათ. მწვანეთა პარტიამ ძალიან აქტიურად იმუშავა.

ჩვენ ვართ ევროპის მწვანეთა პარტიის მმართველი საბჭოს წევრები. დელეგატებს გავუგზავნეთ ვიდეოფაილები იმ საშინელებების შესახებ, რასაც სჩადიოდნენ ნაციონალები მათი მმართველობის პერიოდში. მათ შორის, მწვანეთა პარტიის მიმართ. შემდეგ ასამბლეის ყველა დელეგატს გავუგზავნეთ. ინფორმაცია მივიღე, რომ ისინი აღაშფოთა ნანახმა.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

დუშეთის გამგებელი რეკორდის დამყარებას აპირებს?

„მას შეუძლია 2-ჯერ დაარტყას ეკვატორს წრე“

შორენა მარსაგიშვილი

ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს საწვავის ხარჯვაში ეჯიბრებიან. ამ მხრივ თბილისის საკრებულოს „ვერხუშჯა“ ღიდეობდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული ჯვლევით გაირკვა, რომ დუშეთის გამგებელსაც ჯერ ბლომად დაუხარჯავს საწვავი.

საწვავის ხარჯვის მიმართულებით მთლიანად მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ხელისუფლებას უმუშავია კარგად.

საიას ინფორმაციით, გასული წლის განმავლობაში მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ 260 ტონა ბენზინი დახარჯა.

საიას იურისტ სულხან სალაძის თქმით, ყველაზე მეტი საწვავი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოიხმარა. სალაძის განმარტებით, ვაჟა ჩოხელმა 7.000 ლიტრზე მეტი ბენზინი დახარჯა და 71.000 კილომეტრი გაიარა. ეს იმას ნიშნავს, რომ დუშეთის პირველ პირს შეუძლია ეკვატორს წრე ორჯერ დაარტყას და მთვარეს მიუახლოვდეს.

სალაძის თქმით, ერთი წლის განმავლობაში თითქმის იგივე რაოდენობის საწვავი აქვთ დახარჯული დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარეს, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორსა და მის მოადგილეს.

საწვავის ხარჯვაში ვაჟა ჩოხელის კონკურენტი ახალ უკვე ოპოზიციურ პარტიაშია. გიორგი ლაფანაშვილი პაატა ბურჭულაძის პარტიაში რამდენიმე თვის წინ გადავიდა. ამის გამო მას თანამდებობა დაატოვებინეს.

თანამდებობაზე აღარც გუბერნატორი ნუგზარ ყიფიანია. მან თანამდებობა რამდენიმე თვის წინ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.

სულხან სალაძეს დიდი ეჭვი აქვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები საწვავს პირადი მიზნებისთვისაც იყენებენ.

– 2015 წლის განმავლობაში ვსწავლობდით მცხეთა-მთიანეთის მხარეში როგორც გუბერნიის, ისე მუნიციპალიტეტების მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობას და მათ ბალანსზე რიცხულ ავტომობილებს.

მთლიანობაში საუბარია 260 ტონა საწვავზე. ამ საწვავის დაახლოებით 80% არის ბენზინი. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს 7 ტონაზე მეტი საწვავი აქვს გახარჯული წლის განმავლობაში, რაც თვეში საშუალოდ 600 ლიტრი გამოდის. იმ კონკრეტული მოდელის ავტომობილის მიერ გავლილი მანძილი, რომელიც მას ემსახურება, წლის განმავლობაში 71.000 კილომეტრი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ დუშეთის გამგებელს თავისუფლად შეუძლია თითქმის ორი წრე დაარტყას ეკვატორს და ამის გარდა, ამ ტემპით ხუთი წლის განმავლობაში მთვარემდე ჩავიდეს, – აღნიშნა სალაძემ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ იგივე ოდენობის საწვავი აქვთ დახარჯული ლაფანაშვილს და ნუგზარ ყიფიანს, მათაც შეუძლიათ ეკვატორისთვის წრეების დარტყმა.

სალაძის განმარტებით, ეჭვებს იწვევს ის ფაქტი, რომ აღწერილი არაა, თუ რა მიზნებისთვის იქნა მოხმარებული საწვავი.

დაეჭვებული საია შესაბამისი სამსახურების მიერ აღნიშნული ფაქტების შემოწმებას ითხოვს.

* * *

დუშეთის გამგებელი ვაჟა ჩოხელი საიას ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს. მისი აზრით, ეს კვლევა შემთხვევით არ გამოქვეყნებულა და მას პოლიტიკური დაკვეთის სურნელი ასდის.

ჟურნალისტებთან საუბარში ჩოხელი ამტკიცებს, რომ მან საწვავის მოხმარება შეამცირა.

– აქამდე თვეში 700 ლიტრი საწვავი იყო გათვალისწინებული და 100 ლიტრი მოვიკელით. ახლა გამგებელს აქვს 600 ლიტრის ლიმიტი თვეში. „ვოლვოს“ მარკის 2002 წლიანი ძველი მანქანით დავდივარ. ვინც ეგ ინფორმაცია გამოაქვეყნა, თუ იცის, დუშეთის მუნიციპალიტეტი სად მდებარეობს, – კითხულობს გაცეცხლებული ჩოხელი.

აღსანიშნავია, რომ დუშეთი ტერიტორიულად საქართველოში ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია. მისი ფართობი 2.981 კვადრატული კილომეტრია. დუშეთის შემადგენლობაში შედის 290 სოფელი, 2 დაბა და 1 ქალაქი.

– ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ჭოპორტი, ბაზალეთი, მჭადიჯვარი და სხვა ჩვენს შემადგენლობაშია. აბა მუნიციპალიტეტში რისთვის ვართ თუ არ გვექნება ამ ხალხთან ურთიერთობა? ველოსიპედით ვიაროთ შატილამდე, ხადის ხეობასა და უკანა ფშავში? – კითხულობს გამგებელი.

ვაჟა ჩოხელი ამბობს, რომ მას არც ერთი ლიტრი საწვავი პირადი მიზნებისთვის არ გამოუყენებია და ამის დამტკიცებასაც გეგმავს.

გია ვოლსკი: „სასამართლო რეფორმის ფაცი-ფუცით კეთების მოწოდება არ მიმაჩნია მართებულად“

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ ამ მოწვევის პარლამენტში შეუთანხმებელ საკითხებს რიგგარეშე სხდომის მოწვევა ვერ უშველის.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გია ვოლსკიმ სასამართლო სისტემის ტრანსფორმაციის საკითხზე საპარლამენტო ძალებთან კონსულტაციების გამართვის შესახებ პრეზიდენტის წინადადებაზე კომენტირებისას განაცხადა.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ პრობლემა წარმოსახვითია და მას ხელს ხშირ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციები უწყობენ.

გია ვოლსკი:

– რაც შეეხება კონსულტაციებს, არ ვიცი, ჩვენი ფრაქციის იურისტები ამაში თუ ჩაერთვებიან, მაგრამ ფრაქცია იმ ინტენსივობით აღარ მუშაობს, რომლითაც მუშაობდა. ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით, არავითარი პრობლემა არ არსებობს, ყველანაირ კონსულტაციებში შეიძლება მონაწილეობის მიღება, მაგრამ ვფიქრობ, ეს რაღაც შექმნილი, წარმოსახვითი პრობლემაა, რომელსაც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციები უწყობენ ხელს.

მისივე აზრით, სიჩქარე საჭირო არაა, როდესაც საქმე ფუნდამენტურ საკითხებს ეხება.

– მესამე მოსმენით, პრაქტიკულად, მზად იყო მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტი, მაგრამ არსებული პროექტის მთელ რიგ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც იმ პერიოდისთვის იყო ჩამოყალიბებული, იყო შენიშვნები – ზოგი მიუღებელია, ზოგი მისაღები.

ვფიქრობ, ლოგიკური გადაწყვეტილება მივიღეთ იმის თაობაზე, რომ სჯობს 2-3 თვე მოვიცადოთ, ახალი პარლამენტის პირობებში განვაახლოთ ეს საქმიანობა და მივიღოთ სრულფასოვანი კანონი, ვიდრე ვიჩქაროთ საბოლოო დოკუმენტის მიღება. 2-3 თემაა ისეთი, რომელზეც ამ მოწვევის პარლამენტი ვერ შეთანხმდა. ამას დამატებითი რიგგარეშე შეკრება ნამდვილად ვერ უშველის, რომც იყოს ამ შეკრების საშუალება, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ვოლსკიმ.

დეპუტატის განმარტებით, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას.

– არის კიდევ ერთი თემა, რომლის გამოც აქტუალური გახდა ეს საკითხი და რომელიც ახალი მოსამართლეების შერჩევას ეხება. არასამთავრობო ორგანიზაციები ამტკიცებენ – იმის გამო, რომ კანონით არაა გაწერილი კრიტერიუმები, მიმდინარეობს არასწორი შერჩევა და შეიძლება ისე მოხდეს, რომ მაღალი სტანდარტების მქონე მოსამართლეები არ იყვნენ შერჩეულებიო.

მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ კანონით გაწერილი კრიტერიუმები გადაუდებლად აუცილებელი არაა იმისთვის, რომ მოსამართლედ შეარჩიო ისეთი ადამიანი, რომელიც იმსახურებს ამ თანამდებობაზე ყოფნას. სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით მთავარი პრობლემა რაც იყო – დამოუკიდებლობა, ეს არის საკითხი, რომელიც დღის წესრიგში არ დგას. დახვეწა ამ სისტემის, რასაკვირველია, საჭიროა, მესამე ტალღაც საჭიროა და შეიძლება მეოთხე ტალღაც გახდეს საჭირო, მაგრამ ამის ფაცი-ფუცით კეთების მოწოდება არ მიმაჩნია მართებულად, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

ინტერპრესნიუსი

დონალდ ტუსკი: „ნატო და ევროკავშირი ერთი საფრთხის წინაშე დგანან“

დღეს ნატო და ევროკავშირი ერთი საფრთხის წინაშე დგანან, – ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა ვარშავაში, ევროკავშირსა და ნატო-ს შორის გაფორმებული დეკლარაციის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც ტუსკმა აღნიშნა, ნატო-ს და ევროკავშირს აღმოსავლეთიდან სამხრეთამდე სხვადასხვა გამოწვევები აქვს.

დოლანდ ტუსკი:

– ჩვენ გვჯერა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების. ახალ რეალობაში ჩვენი მოქალაქეები ითხოვენ მეტ დაცულობას, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ნატო-ს, ევროკავშირის თუ ორივე ორგანიზაციის წევრია, – განაცხადა დონალდ ტუსკმა.

ინტერპრესნიუსი

თინა ხიდაშელი: „ვარშავის სამიტის შემდეგ არ უნდა აღმოვჩნდეთ ისეთ მდგომარეობაში, უელსის შემდეგ რომ აღმოვჩნდით“

ჩვენ არ უნდა აღმოვჩნდეთ ვარშავის შემდეგ ისეთ მდგომარეობაში, უელსის შემდეგ რომ აღმოვჩნდით, – ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა ვარშავაში განაცხადა, სადაც ნატო-ს სამიტი მიმდინარეობს.

თინა ხიდაშელი:

– დიდი ხნის განმავლობაში იყო ფანტასტიკური დეკლარაცია, იყო ფანტასტიკური არსებითი პაკეტი, მაგრამ არ იყვნენ მზად ამ პაკეტიდან რომელიმეზე აეღოთ პასუხისმგებლობა. მე უკვე წინასწარ ვიცი, რომ რამდენიმე ქვეყანა, რომელთანაც შეხვედრები გვაქვს, უკვე მზად არის, რომ გამოაცხადოს საკუთარი მხარდაჭერა კონკრეტული კომპონენტების მიმართ.

ინტერპრესნიუსი

ეკა ბესელია: „სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევაზე უნდა ვიფიქროთ“

სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით მოცემულ ეტაპზე პარლამენტის შეკრებაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ კონსენსუსის მიღწევაზე, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ სასამართლო სისტემის ტრანსფორმაციის საკითხზე საპარლამენტო ძალებთან კონსულტაციების გამართვის შესახებ პრეზიდენტის წინადადებაზე კომენტირებისას განაცხადა.

როგორც ბესელიამ აღნიშნა, როდესაც სასამართლო რეფორმა მზადდებოდა, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა კონსენსუსის მიღწევას, რომ პარლამენტს შეთანხმებული პოზიციისთვის ეყარა კენჭი.

ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების რეფორმას მე მივიჩნევ ჩვენი ხელისუფლებისთვის ნომერ პირველ ამოცანად. ჩემთვისაც პირადად, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა მიმაჩნია, როგორც მთავარი გარანტი ადამიანის უფლებების დაცვის, ამიტომ ამ რეფორმის მნიშვნელობაზე აღარ ვისაუბრებ. ეს იმდენად ცხადია, რომ მე ვერ შევადარებდი მნიშვნელობით ვერც ერთ საკითხს, რომელიც გადაწონიდა სასამართლოს რეფორმას, ამიტომ ჩვენი შინაგანი მზაობაა, რომ რეფორმა ბოლომდე იყოს მიყვანილი – დარჩენილია მე-3 კენჭისყრა, თუმცა ბოლო კენჭისყრა შეაფერხა იმ განსხვავებულმა მიდგომებმა, რომელიც ბოლოს დაფიქსირდა, – განაცხადა ბესელიამ.

მისივე თქმით, აღნიშნულთან მიმართებაში ალტერნატიული წინადადება ჰქონდათ ფრაქცია „რესპუბლიკელებს“ და „ეროვნულ ფორმუს“ და ცალკეულ დეპუტატებს.

ეკა ბესელია:

– ამის გამო ვერ მოხერხდა ორ საკითხზე საბოლოოდ ერთიანი პოზიციის შეჯერება, ესენია – თავმჯდომარეების არჩევა უნდა მოხდეს ლოტტორნის პრინციპით, თუ საბჭოს მიერ. ამ საკითხებზე შეთანხმება ვერ მოესწრო სესიის დასრულებამდე და ამიტომაც კენჭისყრა ვერ ჩატარდა, თუმცა პრინციპების დონეზე რეფორმა მხარდაჭერილია. მომავალში ვაპირებთ, რომ ეს რეფორმა აუცილებლად მივიღოთ. ვაპირებთ იმას, რომ კენჭი ვუყაროთ, როგორც კი პარლამენტი შეიკრიბება, მაგრამ პარლამენტის შეკრება საარჩევნო კამპანიის პერიოდში რიგგარეშე ფორმატში, თუ რეალისტურად და პრაქტიკულად შევხედავთ, მე რთულად წარმომიდგენია, ამიტომ ამ მოცემულ ეტაპზე პარლამენტის შეკრებაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ კონსენსუსის მიღწევაზე – პარლამენტი რომ შეიკრიბოს ამ საკითხზე კონსენსუსი გვაქვს თუ არა.

პრეზიდენტი საპარლამენტო ფრაქციებს სასამართლო სისტემის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით კონსულტაციებს სთავაზობს. შესაბამისი განცხადება პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ 8 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ინტერპრესნიუსი

ფოთში ავარიის შედეგად 6 ადამიანი დაშავდა

ფოთში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. კოკაიას ხეივანში ერთმანეთს „ოპელისა“ და „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანები შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 6 ადამიანი დაშავდა. ისინი სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ქალაქის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ინფორმაციით, დაშავებულთა მდგომარეობა სტაბილურია.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია. ავარიის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. დაწყებულია გამოძიება.

ინტერპრესნიუსი

მაგდა პაპიძე მის მიმართ გამოტანილ განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს

მაგდა პაპიძე მის მიმართ გამოტანილ განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს მეუღლისა და შვილის მკვლელობაში მსჯავრდებული მაგდა პაპიძის დედამ ლიანა შამუგიამ განუცხადა.

როგორც შამუგიამ აღნიშნა, მას შემდეგ, რაც ადვოკატებს განაჩენი ჩაბარდებათ, მაგდა პაპიძისთვის განსაზღვრული სასჯელი სააპელაციო სასამართლოში საკასაციო წესით გასაჩივრდება. მაგდა პაპიძის დედის თქმით, ისინი ასევე აპირებენ სარჩელის გაგზავნას სტრასბურგის სასამართლოში, თუმცა რა მოთხოვნები ექნებათ აღნიშნულ საჩივარში, ამ დეტალებზე ჯერჯერობით ლიანა შამუგია არ საუბრობს.

მაგდა პაპიძის დედის თქმით, არსებობს კითხვები, რომელსაც პროკურატურამ პასუხები ვერ გასცა და აქედან გამომდინარე, ის იცავს საკუთარ შვილს. ლიანა შამუგია მიიჩნევს, რომ მოკლული ომარ ქაფიაშვილის დედა, დარეჯან მინდიკაური „რაღაცას მალავს და სრულ სიმართლეს არ ამბობს“.

ლიანა შამუგია მოუწოდებს დარეჯან მინდიკაურს, რომ კითხვებზე, რომელიც საქმეში დაცვის მხარეს გააჩნია, პასუხები გასცეს და თავადაც დაინტერესდეს, თუ რატომ არ გასცა ამ კითხვის ნიშნებს პასუხები გამოძიებამ.

მეუღლისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძეს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასჯელის ზომა, ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის საფუძველზე, მოსამართლემ განსაზღვრა.

ინტერპრესნიუსი

გიორგი ვაშაძე იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ

სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე იუსტიციის სამინისტროს მისი პარტიის რეგისტრაციის განზრახ გაჭიანურებაში ადანაშაულებს.

როგორც ვაშაძემ 8 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მათ 8 ივნისს შეიტანეს განაცხადი სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სადაც ყველა საჭირო საბუთი და დოკუმენტაცია წარადგინეს, დღეს კი საბოლოოდ ამოიწურა რეგისტრაციის ვადა.

გიორგი ვაშაძე: – როგორც ხელისუფლებას სჩვევია, სრულიად უსუსურად, არანაირ პასუხს არ გვეუბნებიან ჩვენი რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად აბსურდული მიზეზებით შეაჩერეს რეგისტრაციის პროცედურა და დამატებითი ხელმოწერების წარდგენა მოგვთხოვეს, ჩვენ აბსოლუტურად კონსტრუქციულად მივიტანეთ იმაზე მეტი ხელმოწერები, ვიდრე მათ მოგვთხოვეს (710 ხელმოწერა 370-ის ნაცვლად), დღეს ჩვენი წარმომადგენლები დგანან იუსტიციის სახლში და ვერანაირ პასუხს ვერ იღებენ რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ბოლო პერიოდში ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის შემთხვევაში, რომელმაც შეიტანა რეგისტრაციაზე განაცხადი, ხარვეზის შემთხვევაშიც კი ერთთვიან ვადაზე გადაჭარბება არ მომხდარა. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ განხორციელდეს პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს კონკრეტული სამოქმედო გეგმა და ორშაბათს დილიდან საგანგებო რეჟიმზე გადავალთ.

საგანგებო რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებები გიორგი ვაშაძეს არ დაუანონსებია, თუმცა აღნიშნა, ეს მათ შორის, აქციებს მოიცავს. „მართლა სასაცილოა, როდესაც ასეთი ელემენტარული საკითხებით ხდება საარჩევნო გარემოში პრობლემების შექმნა, – განაცხადა ვაშაძემ.

ინტერპრესნიუსი

კულტურა

ოთო ნემსაძე კონტრაქტის გარეშე სიმღერაზე უარს ამბობს

მუსიკალური შოუების „ჯეოსტარისა“ და „ბრავოს“ გამარჯვებული ოთო ნემსაძე კონტრაქტის გარეშე სიმღერაზე უარს აცხადებს და ამისთვის სერიოზული მიზეზიც აქვს.

ოთო ნემსაძე: – ძალიან საყურადღებო რაღაც მინდა ვთქვა და, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვგულისხმობ, ივენთ კომპანიებიდან ნუღარ დამირეკავთ კონცერტებზე, ისედაც 3-4-ია, კონტრაქტების გარეშე.

მერამდენედ უნდა მოხდეს, რომ გადაგადებინებენ უამრავ საქმეს და მერე ძალიან მარტივად ერთი დღით ან ერთი საათით ადრე გადაგაგდებენ. უამრავი საქმე გვაქვს და თქვენ გამო ბევრჯერ სხვა კონცერტებზე გვითქვამს უარი!!!

არასწორია!!!

და ჩემს კოლეგებსაც ვთხოვ, რომ კონტრაქტის გარეშე ნუ წახვალთ ნურსად. ერთადერთი გარანტიაა ჩვენთვის. უყვარხართ ოთარას!

ქართველი ჯაზპიანისტი ლეგენდარულ ჯეკ დეჯონეტისთან ალბომს წერს

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე თანამედროვე ხელოვნების ამომავალი ქართველი ვარსკვლავი გიორგი მიქაძე ნიუ იორკის პრესტიჟულ ხმის ჩამწერ სტუდიაში წერს ალბომს გრემის მფლობელ, ჯაზისა და თანამედროვე მუსიკის ლეგენდარულ დრამერ, პიანისტ და კომპოზიტორ ჯეკ დეჯონეტისთან ერთად.

ამ უდიდესი ხელოვანის შემოქმედება მუსიკალური სამყაროსათვის კარგადაა ცნობილი. ჯეკ დეჯონეტი ჯაზური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაა და ჯაზის ისტორიის საუკეთესო დრამერადაა აღიარებული. თავისი კარიერის განმავლობაში იგი თანამშრომლობდა ისეთ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან ჯონ კოლტრეინი, მაილს დევისი, თელონიუს მონკი, ბილ ევანსი, ბეტი კარტერი, ჯორჯ ბენსონი, ჰერბი ჰენკოკი, ჯო ზავინული, უეინ შორტერი, სონი როლინზი, ჩარლზ ლოიდი, ჯონ სკოფილდი, პეტ მეთენი და მრავალი სხვა, თუმცა მუსიკის ისტორიაში სრულიად გამორჩეულ მოვლენად მიიჩნევა ჯეკ დეჯონეტისა და ფენომენალური კიტ ჯარეტის 33-წლიანი თანამშრომლობა.

4 წლის წინ ჯეკ დეჯონეტი თბილისის ჯაზფესტივალსაც სტუმრობდა და დაუვიწყარი კონცერტი აჩუქა ქართველ მსმენელს.

73 წლის ცოცხალი ლეგენდა, რომლის უშუალო მონაწილეობით იქმნებოდა თანამედროვე, რევოლუციური და ავანგარდული მუსიკალური მიმდინარეობები, დღესაც ისევ სიახლეების ძიებაშია და გიორგი მიქაძესთან, გიტარისტ დევიდ ფიუეინსკისთან, ბასისტ მეთიუ გარისონთან და საქსოფონისტ ფილიფ გელშლაუერთან ერთად ექსპერიმენტულ ალბომზე მუშაობს.

გიორგი მიქაძე სიურპრიზად ინახავს პროექტის ძირითად დეტალებს, თუმცა, მისი თქმით, უდიდესი რანგის პროფესიონალ, ლეგენდარულ ჯეკ დეჯონეტისთან კოლაბორაცია ერთ-ერთ საეტაპო და მნიშვნელოვან პროექტზე მისთვის დიდი გამოწვევაა.

„ერთი გიორგი ნაკაშიძის გამარჯვება იყო შარშან სამართლიანი და მეორე წელს ავთო აბესლამიძის“

მუსიკალური შოუს „იქს ფაქტორის“ მეორე სეზონის მონაწილე ლინდა ადამია წელს ავთო აბესლამიძის მიერ პროექტის მოგებას საკმაოდ თამამი განცხადებით ეხმაურება.

ლინდა ადამია:

– ერთი გიორგი ნაკაშიძის გამარჯვება იყო შარშან სამართლიანი და მეორე წელს ავთო აბესლამიძის. ქართველი ერის სმენა და გემოვნება ძალიან ქვეითდება!!! ჩემი სუბიექტური აზრია და ნუ მომახტებით პროვოკატორები!

„იქს ფაქტორის“ მეორე და მესამე სეზონები ბათუმელმა კონკურსანტებმა გიორგი ნაკაშიძემ და ავთო აბესლამიძემ მოიგეს. საზოგადოება დღემდე მსჯელობს, რამდენად სამართლიანად მოიგო პროექტი ავთო აბესლამიძემ, მაშინ როდესაც, ყველანაირი მონაცემით, შოუს გამარჯვებული გიგი ადამიაშვილი უნდა გამხდარიყო.

ჯემალ დემურაძე საქველმოქმედო წარმოდგენას გამართავს

თეატრ-სტუდია „მადლის“ დამაარსებელი, პროფესიით მსახიობი ჯემალ დემურაძე გაჭირვებული ბავშვების დასახმარებლად საქველმოქმედო წარმოდგენას გამართავს. ის წლებია გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარება და თავისი საქმიანობა ჩვეულებრივ ქმედებად მიაჩნია.

ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ მან ღმერთს პირობა მისცა, რომ დაეხმარებოდა იმ ბავშვებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. ჯემალ დემურაძე თავის პირობას დღემდე პირნათლად ასრულებს, მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად სასწავლო დაწესებულებებში მართავს ღონისძიებებს და შეგროვილი თანხით ეტლებს, ყავარჯნებს, წამლებს, სიცოცხლისთვის აუცილებელ პროდუქტებს ყიდულობს.

ადამიანი, რომელიც თავადაც სოციალურად დაუცველია და ქალაქის გარეუბანში მიტოვებულ შენობაში მეუღლესთან და სამ ბიჭთან ერთად ცხოვრობს, 10 ივლისს ავლაბარში მდებარე 77-ე სკოლაში წარმოდგენას გამართავს. ბილეთის ფასი 10 ლარია. შეგროვილი თანხით მას 12 წლის მარინა ალაბიანისთვის გამათბობლის ყიდვა აქვს გადაწყვეტილი, თუმცა, თუკი იმაზე მეტი მოგროვდა, ვიდრე გამათბობელს სჭირდება, ბატონი ჯემალი მეორე ბავშვის დახმარებასაც აპირებს.

ჯემალ დემურაძე:

– 10 ლარად ვყიდით ბილეთებს, რომ საკმარისი თანხა მოვაგროვოთ და დავეხმაროთ ბავშვებს, რომლებსაც დახმარება ყველაზე მეტად სჭირდებათ. სად აღარ დავდივარ, ვისთან არ ვიყავი, მაგრამ სპონსორი ვერ ვნახე. ვეხვეწებით ადამიანებს, იყიდეთ ბილეთი, მოდით, გაერთეთ და გააკეთეთ კეთილი საქმე-მეთქი, მაგრამ... თუმცა, ღმერთის წყალობით, არიან ადამიანები, რომლებიც სიკეთეს აკეთებენ და მიბაძეთ მათ! სასტუმრო „დანისიმოს“ ხელმძღვანელმა იკა ჯანაშვილმა გადაწყვიტა, ქველმოქმედი გახდეს და ბილეთები შეიძინა. გვინდა, მადლობა ვუთხრათ ისინის გამგეობასა და 77-ე სკოლას, რომელმაც უსასყიდლოდ დაგვითმო დარბაზი.

ოკლული მიხეილ ცხაკაია თიკა ფაცაციას ბიძაშვილია

მომღერალს და ტელეწამყვანს თიკა ფაცაციას ტრაგედია დაატყდა თავს. მას ბიძაშვილი მოუკლეს. რამდენიმე დღის წინ კანდელაკის ქუჩაზე მოკლული 31 წლის მიხეილ ცხაკაია თიკა ფაცაციას ბიძაშვილი აღმოჩნდა.

მომღერალმა ბიძაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში სევდიანი განცხადება გაავრცელა და მას სპეციალური ფოტოც დაურთო:

–ამ წარწერას მთელი ბავშვობა ვხედავდი ჩვენი ბებია-ბაბუის სახლში, უკანა აივანზე საკუთარი ხელით რომ ამოეჩორკნა. დავხედავდი, გავიღიმებდი და გავივლიდი. დღესაც დავხედე და ცრემლებმა დამახრჩო. მიხო, ჩემი ბიძაშვილი, საოცრად სათნო, მუდმივად მომღიმარი და კეთილშობილი ბიჭია, გამორჩეული იუმორით. ბევრი ბავშვური მოგონება ამომიტივტივდა. ერთად რომ „ვაშავებდით“, ერთად რომ ვცელქობდით. გავიზარდეთ, ამ ისტორიებზე ვიცინოდით. ისე ხშირად ვერ ვნახულობდით ერთმანეთს, მაგრამ ყოველთვის მეიმედებოდა. მიხო ჩვენთან აღარაა, ეს „ვიღაცამ“ გადაუწყვიტა. სიყვარულისთვის. მიხოს მაინც ბევრი სიყვარული მიჰყვება, ზღვა სიყვარული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯემალ დემურაძე საქველმოქმედო წარმოდგენას გამართავს



შეკვეთილში მდებარე საკონცერტო დარბაზი ბლექ სი არენა სახელმწიფოს გადაეცემა.

2030 ნიუსის ინფორმაციით, საკონცერტო დარბაზის გახსნა ივლისის ბოლოს არის დაგეგმილი.

დარბაზის სახელმწიფოსთვის გადაცემის ღონისძიება მიმდინარე კვირისთვის არის დაგეგმილი, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

საკონცერტო დარბაზი 8.700-მდე სტუმრის მიღებას შეძლებს. სივრცე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სრულად ადაპტირებულია.

არენის ძირითად ნაწილს საკონცერტო სივრცე წარმოადგენს, რომელიც ორ დამოუკიდებელ შენობას აერთიანებს.

ამფითეატრის ტიპის ღია საკონცერტო დარბაზი ძვირადღირებული ტექნიკით არის აღჭურვილი, მოძრავი სახურავი კი ამინდზეა მორგებული.

საკონცერტო დარბაზის მშენებლობა 2008-2009 წლებში ფონდ „ქართუს“ ინიციატივით დაიწყო, მშენებლობაში ფონდმა 200 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა.

სამხატვრო აკადემიაში ხანძარი გაჩნდა

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხანძარი გაჩნდა.

გრიბოედოვის ქუჩა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა გადაკეტა. ადგილზე მივიდნენ სახანძრო ბრიგადებიც.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, ცეცხლი შენობის იატაკს გაუჩნდა. დამწვარია დაახლოებით 15 კვადრატული მეტრი ფართი.

მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის ხანძარი ლოკალიზებულია და შენობის სხვა ნაწილში ცეცხლის გადადების საფრთხე არ არსებობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ობამა: „რუსული აგრესია უკრაინის წინააღმდეგ მშვიდობას ევროპაში საფრთხეს უქმნის“

ვაშიკოვსკი: „პუტინს მხოლოდ კონფლიქტი სჭირდება“

8 ივლისს, ვარშავის სამიტის პირველ დღეს, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ გამოცემა ფაინენშელ თაიმსში სტატია გამოაქვეყნა.

ამერიკელი პრეზიდენტი წერს, რომ საჭიროა ნატო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაძლიერება უკრაინისთვის მხარდაჭერის გაზრდის გზით.

ბარაქ ობამა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რუსული აგრესია უკრაინის წინააღმდეგ საფრთხეს უქმნის ერთობას, თავისუფლებასა და მშვიდობას ევროპაში.

– ვარშავის სამიტის ამოცანაა, კიდევ ერთხელ დავადასტუროთ ჩვენი მისწრაფება და ვალდებულება, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წესდების მეხუთე მუხლს ეფუძნება და ნატოს ყველა წევრის დაცვას გულისხმობს, – აღნიშნავს ობამა.

აშშ-ის პრეზიდენტის მოსაზრებით, რუსეთის წინააღმდეგ სანქციები უნდა შენარჩუნდეს.

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნები კვლავ შეეცდებიან, რუსეთთან უფრო კონსტრუქციული ურთიერთობა ჰქონდეთ, უნდა დავეთანხმოთ იმას, რომ ანტირუსული სანქციები ძალაში იქამდე უნდა დარჩეს, სანამ მოსკოვი, მინსკის შეთანხმებების თანახმად, ყველა ვალდებულებას არ შეასრულებს, – წერს ობამა.

აშშ-ის პრეზიდენტის მოსაზრებით, ტერორისტული საფრთხეები ნატოს ქვეყნებში, მიგრაციული კრიზისი და დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი კითხვის ქვეშ აყენებს ევროპული ინტეგრაციის მომავალს.

– ამ პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ერთობის შენარჩუნებით, – წერს აშშ-ის პრეზიდენტი.

***

მსგავსი მოსაზრება, ამჯერად უკვე სამიტზე, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშიკოვსკიმ გამოთქვა.

მისი თქმით, დასავლეთი მუდმივად ცდილობს, რუსეთთან დიალოგი დაამყაროს, მაგრამ ამ პროცესს ართულებს რუსული მხარის მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია.

– ჩვენ პუტინს ვერაფერს შევთავაზებთ, რადგან მას მხოლოდ კონფლიქტი სჭირდება. რუსეთის ხელისუფლებას ურჩევნია, პრობლემები სამხედრო კონფლიქტებით და სანქციებით ახსნას, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში რეფორმები გაატაროს, – განაცხადა ვიტოლდ ვაშიკოვსკიმ.

მინისტრის აზრით, მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით ნატომ რუსულ საფრთხეზე რეაგირება წინასწარ უნდა მოახდინოს.

– თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში დიმიტრი მედვედევმა შესთავაზა ევროპას იმპერიული კონცეფციის მიღება და, ფაქტობრივად, მე-19 საუკუნეში დაბრუნება. ჩვენ ამაზე რეაგირება არ მოგვიხდენია. შემდეგ ურეაქციოდ დავტოვეთ აგრესია საქართველოზე, შემდეგ – უკრაინაზე. ამჯერად ჭკვიანად უნდა მოვიქცეთ და შეკავების პროგრამაზე ვიმუშაოთ, – განაცხადა პოლონეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

პუტინი პოლიციურ რეჟიმს აძლიერებს

ვლადიმერ პუტინმა ანტიტერორისტულ კანონპროექტებს ხელი მოაწერა. ამიერიდან ტერორიზმისთვის პასუხისმგებლობა მკაცრდება, თავად ტერორიზმის ცნება კი ფართოვდება. ტერორიზმად ცხადდება ნებისმიერი ანტისამთავრობო აქცია, დაწყებული კრიტიკით, დამთავრებული ქუჩის დემონსტრაციის ორგანიზებით. რუს პოლიტოლოგ ორეშკინის აზრით, ანტიტერორისტული კანონების მიღება რუსეთში ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერებას ნიშნავს. ორეშკინი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობა რთულდება, აშკარაა პუტინის საგარეო პოლიტიკის კრახიც.

– რუსეთის პრეზიდენტმა ვერც იზოლაციის გარღვევა შეძლო, ვერც უკრაინის ფედერალიზაცია და ვერც ამ ქვეყნის ევროინტეგრაციის დაბლოკვა. მეტიც, დღეს უკვე გვაქვს ანტირუსული უკრაინა, სადაც ბანდერასა და პეტლიურას გმირებად მიიჩნევენ, სადაც არსებობს ბრძოლისუნარიანი არმია და აქტიური უშიშროება, – ამბობს ორეშკინი.

პოლიტოლოგის აზრით, პუტინს ამასთან შეგუება და უკრაინასთან კომპრომისული შეთანხმების დადება მოუწევს. რუსეთის პრეზიდენტი ასევე ვერაფერს უპირისპირებს აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებას. ასეთი კომპრომისები კარს მომდგარი არჩევნების წინ რუსეთის მმართველ ელიტას შესაძლოა ძვირად დაუჯდეს.

– პუტინმაც გამოსავალი მოძებნა. ის პოლიციურ რეჟიმს აძლიერებს, – აცხადებს ორეშკინი.

სისხლიანი ტრაგედია დალასში

დალასში პოლიციელების მიერ 2 ზანგის მოკვლის გამო საპროტესტო აქცია გაიმართა.

აქციის დროს უცნობმა პირებმა პოლიციელებს, რომლებიც წესრიგს იცავდნენ, ცეცხლი გაუხსნეს. უცნობები სნაიპერის შაშხანით იყვნენ შეიარაღებულნი. შედეგად მოკლულია 4 პოლიციელი, 11 დაიჭრა. პოლიციამ დაიკავა 2 მამაკაცი, რომლებმაც პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს.

შეტაკებები დაღესტანში

დაღესტანში გრძელდება შეტაკებები ადგილობრივ პარტიზანებსა და რუსეთის უშიშროების ძალებს შორის.

უკანასკნელი ბრძოლისას დაიღუპა პარტიზანების დაღესტნური დაჯგუფების მეთაური ჰასან ტაგიროვი, დაიჭრა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის 4 თანამშრომელი.

ბრიტანეთის ახალი პრემიერი ქალი იქნება

ინგლისში პრაიმერიზის მეორე ტური დასრულდა.

ყველაზე მეტი ხმა ამჟამინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ მიიღო (199), მეორეზე ასევე ქალი, ანდრეა ლედსემი გავიდა (84), მაიკლ ჰოული მესამეზეა (46).

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს ტერეზა მეი და ანდრეა ლედსემი დაუპირისპირდებიან. ამ ორიდან ერთ-ერთი პრემიერის პოსტს დაიკავებს.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ერაყი: აფეთქება შიიტების მავზოლეუმთან

ერაყში ტერაქტების სერია გრძელდება. ქალაქ ბალადში (ბაღდადის მახლობლად) ტერორისტმა შაჰიდმა შიიტების მავზოლეუმთან აფეთქება განახორციელა. ამის შემდეგ რამდენიმე შეიარაღებული ტერორისტი მავზოლეუმში შეიჭრა და იქ შეკრებილ ხალხს ცეცხლი გაუხსნა.

შედეგად 35 ადამიანი დაიღუპა, 50 დაშავდა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. სპეციალურად გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ტერაქტები გაგრძელდება, მსხვერპლიც საკმაოზე მეტი იქნება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

● მათ საყურადღებოდ, ვინც ბინებს იშენებს: მეტალოპლასტმასის კარების ჩარჩოს ძირზე გადააკვრევინეთ (თქვენც შეძლებთ!) პატენტირებული ფოლადის გარსაცმი და ჩარჩო აღარასდროს შემოგემტვრევათ ფეხქვეშ. ნიმუში იხილეთ და შეიძინეთ გურამიშვილის გამზირის 31-ში, სანტექნიკის მაღაზიაში. ფასი 10 ლარი. ტელ: 599-94-51-82.

მკურნალობა

● ნანა ქიბრონაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ქართული კლუბებისთვის ევროპის ლიგა დასრულდა

სამტრედია-გაბალა 2:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

1:0 ზივზივაძე (14პ), 1:1 უიქსი (42), 2:1 შერგელაშვილი (90)

სამტრედია: მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, გოგიაშვილი, გორგიაშვილი (მანჯგალაძე 46), ცნობილაძე (რაჟამაშვილი 75), შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, სანდოხაძე, გამყრელიძე (ჯიქია 63), არაბული, ზივზივაძე

გაბალა: ბეზოტოსნი, აბასოვი, ვერნიდუბი (სანტოსი 46), სტანკოვიჩი, რიკარდინიო, სადიხოვი (ჯამალოვი 70), კვეკვესკირი, ოზობიჩი (მუტალიმოვი 52), ზენიოვი, დაბო, უიქსი

სამტრედიელებმა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ჯერ კიდევ ბაქოში დაკარგეს, როდესაც 1:5 წააგეს. ზესტაფონში სამტრედიელთა 4-ბურთიანი მოგება ჩანასახშივე უტოპიად ჩანდა და ასეც მოხდა.

ერთადერთი სანუგეშო ის არის, რომ მასპინძლებმა მოიგეს და ამით საქართველოს რეიტინგში მინიმალური ქულების რაოდენობა შეემატა, თუმცა დასაგროვებელი ბლომად გვაქვს და ახლა მარტო თბილისის დინამოს იმედად ვართ დარჩენილნი.

რაც შეეხება მატჩს: საათის მეოთხედი არ იყო გასული, როდესაც აზერბაიჯანელებმა თავიანთ საჯარიმოში ბუდუ ზივზივაძე წააქციეს და მანაც 11 მეტრიდან ზუსტად დაარტყა. ზივზივაძეს მალევე კიდევ ერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ დუბლის შესრულება ვერ მოახერხა. მომენტი შეექმნა ბაჩანა არაბულსაც – ანგარიში არც ამ შემთხვევაში შეცვლილა.

ტაიმის ბოლოს კი სამტრედიელთა გამამწარებელმა თეო უოქსმა გაათანაბრა. უოქსმა ბაქოში ჰეთ-ტრიკი შეასრულა, რასაც ერთი ზესტაფონში დაუმატა.

აზერბაიჯანელებს საქმე მოლეული ჰქონდათ და თავს შესვენების შემდეგაც მშვიდად იცავდნენ და შეტევებიც უფრო თამამი და სახიფათო ჰქონდათ. მხოლოდ ბოლოში ბოლომდე არ შეინარჩუნეს კონცენტრაცია და სამტრედიელებმაც კიდევ ერთხელ გაიტანეს – ამჯერად ლაშა შერგელაშვილმა იხეირა.

რომან გრიგორჩუკი:

– სამტრედიამ კარგად ითამაშა, იბრძოლა და გაიმარჯვა. ჩვენ არ გამოგვივიდა თამაში, შეცდომები დავუშვით, რაც აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ და დასკვნები გამოვიტანოთ. სამტრედია კარგი, შემტევი გუნდია და მას წარმატებებს ვუსურვებ. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მომდევნო ეტაპზე ვინ შეგვხვდება, მთავარია, სწორად ვითამაშოთ და ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდეთ.

გია ცეცაძე:

– მეტოქეს ვულოცავ შემდეგ ეტაპზე გასვლას. მთლიანობაში, სანახაობრივი მატჩი იყო. მართალია, მოვიგეთ, მაგრამ ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო დავრჩი. კმაყოფილი მაშინ ვიქნებოდი, 4:0 რომ მოგვეგო. გაბალა გავიდა და ე.ი. ჩვენზე ძლიერია. იქ გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ, ჩვენ კი ახალგაზრდები გვყავს, რომლებსაც საქართველოს ნაკრებში მოხვედრის პოტენციალი გააჩნიათ.

შირაქი-დილა 1:0 (4:1პ)

გიუმრი. გიუმრი სთედიუმი

1:0 ბიჩახჩიანი (84)

პენალტების სერია: 1:0 ჰოვსეპიანი, 1:0 ღონღაძე (ხარიხა), 2:0 დარბინიანი, 2:0 კვირკველია (მეკარე), 3:0 აივაზიანი, 3:1 რაზმაძე, 4:1 აკოფიანი

შირაქი: აივაზოვი, დავოიანი, ოგანისიანი (დავოიანი 71), მიქაელიანი, ოვსეპიანი, დარბინიანი, უდო, დ. აკობიანი, დიარასუბა, სტოშკოვიჩი (ბიჩახჩიანი 65), კუაკუ (აივაზიანი 69)

დილა: მუჯრიშვილი, ქარქუზაშვილი, სამხარაძე, კვირკველია, ღონღაძე, რაზმაძე, წიქარიძე (შარიქაძე 72), ჯაფარიძე, დოლიძე, ერისთავი (ნონიკაშვილი 68), მოდებაძე

ბოლო იმედი დილის გვქონდა. საქართველოს მესამე გუნდს შინ 1:0 ჰქონდა მოგებული და ეს იმედს გვიტოვებდა. ამ იმედმა 84-ე წუთამდე გაძლო.

თუმცა, მანამდე შირაქმა როგორ ვერ გაიტანა, საკვირველი ეს უფრო არის, რადგან მასპინძლებს უამრავი საგოლე მომენტი შეექმნათ და ოდნავ მაღალი დონის თავდამსხმელები რომ ჰყოლოდა, პენალტების სერიის დანიშვნა საჭიროც არ გახდებოდა.

დილა მეორე ნომრად თამაშობდა და ძირითადად კონტრშეტევებით იყო დაკავებული. ეს უფრო პირველ ტაიმში, როდესაც რაღაც შანსი ჰქონდათ, შესვენების შემდეგ კი უფრო კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ერთია, შირაქმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა და ორმატჩიან დუელში გაიმარჯვა.

დილას ყველაზე რეალური მომენტი დამატებითი დროის ბოლოსწინა წუთზე შეექმნა, როცა გრიგოლ დოლიძის ფლანგურ გადაცემას ირაკლი მოდებაძე გამოეხმაურა, მაგრამ თითქმის ცარიელ კარში ბურთი ვერ მოახვედრა.

თერთმეტმეტრიანების სერიაში კი შირაქის ფეხბურთელებმა ოთხიდან ოთხივე პენალტი უზადოდ შეასრულეს. სამაგიეროდ, გორელთაგან მხოლოდ ლუკა რაზმაძე იყო დამაჯერებელი. მანამდე, თემურ ღონღაძემ ხარიხას გაარტყა, ხოლო დავით კვირკველიამ მეკარეს ვერ აჯობა. საბოლოოდ, შირაქმა პენალტების სერიაში 4:1 იმარჯვა.

უჩა სოსიაშვილი:

– მადლობა ჩემს ფეხბურთელებს, რომლებმაც დღეს 120 წუთის განმავლობაში ბოლომდე იბრძოლეს. რაც შეეხება პენალტების სერიას, ეს ლატარიაა და გამართლების მომენტია. აქცენტი გაკეთებული იყო კონტრშეტევებზე. პირველ ტაიმში ეს კარგად გამოგვივიდა. გვქონდა მომენტები, თუმცა ვერ გავიტანეთ. მეორე ნახევარში კი ერთი შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ. მადლობა ყველას, ვინც აქ გვიქომაგა ან საქართველოდან გვგულშემატკივრობდა. მინდა, მათ ბოდიში მოვუხადო! მეც თქვენსავით გულდაწყვეტილი ვარ...

საფრანგეთი ფინალში პორტუგალიას შეუერთდა

გერმანია-საფრანგეთი 0:2

მარსელი. ველოდრომი

0:1, 0:2 გრიზმანი (45პ, 72)

გერმანია: ნოიერი, ბოატენგი (მუსტაფი 61), ჰიოვედესი, ჰექტორი, კიმიხი, ჩანი (გიოტცე 67), კროოსი, შვაინშტაიგერი (სანე 79), დრაქსლერი, ოზილი, მიულერი

საფრანგეთი: ლორისი, სანია, ევრა, კოშიელნი, უმტიტი, მატუიდი, გრიზმანი (კაბაიე 90), სისოკო, პოგბა, პაიეტი (კანტე 71), ჟირუ (ჟინიაკი 78)

გაირკვა მეორე ფინალისტიც – დიდიე დეშამის შეგირდებმა მოახერხეს გერმანული მანქანის დამუხრუჭება. გერმანელები, რომლებიც ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებად იყვნენ მიჩნეული, მატჩს საკადრო პრობლემებით კი შეხვდნენ, მაგრამ არც ფრანგებს უნდა დავუკარგოთ გარჯა.

ფრანგებმა საკმაოდ თავდაჯერებულად ჩაატარეს მათთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მატჩი, ხოლო ანტუან გრიზმანმა უკვე გადაწყვიტა ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირის ბედი. ატლეტიკოს შემტევმა ჯერ 11 მეტრიდან გაიტანა, შემდეგ მანუელ ნოიერს შეცდომა არ აპატია და მცველების გარემოცვაში ყველაზე ადრე გაერკვა სიტუაციაში...

უნდა ითქვას, რომ ფრანგები დამსახურებულად გავიდნენ ფინალში. აქამდე ჩატარებულ ყველა მატჩში კარგად გამოიყურებოდნენ და თამაშს აკონტროლებდნენ. წინ მხოლოდ ერთი თამაშია – ყველაზე გადამწყვეტი. მეტოქე კი პორტუგალია, რომლის ფინალში გასვლას ბევრი დაუმსახურებლად თვლის, მაგრამ ფინალშიც გვინახავს დაუმსახურებლად გასული გუნდების გამარჯვებებიც. ასე რომ, მასპინძლებს მოდუნების საშუალება არ აქვს, მით უფრო, რომ პორტუგალია არ არის ხელწამოსაკრავი მეტოქე და ჩვენ ვერ ჩავთვლით რომ, სანტუშის შეგირდები ფინალს არ იმსახურებდნენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანტუან გრიზმანი

ევროპის ჩემპიონატის ჯერჯერობით საუკეთესო ბომბარდირი, რომელსაც ეს წოდება შეგვიძლია ვადაზე ადრე მივულოცოთ, რადგან უშუალო კონკურენტებს უკვე 3 გოლით უსწრებს. ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი გოლები კი სწორედ გერმანიასთან გაიტანა. გოლების გარდა, ჩინებულად მოქმედებდა მეტოქის ნახევარზე და გერმანელ მცველებს მისი შეჩერება უჭირდათ. მოკლედ, გრიზმანმა ლამაზადაც ითამაშა და შედეგიანადაც.

დიდიე დეშამი:

– ჩვენ უკვე ისტორიაში შევედით. საფრანგეთს გერმანია დიდი ხანია არ დაუმარცხებია, მაგრამ განვლილ მატჩში ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ფინალში ვართ და ჯილდოს ბედი ჩვენვე უნდა გადავწყვიტოთ.

იოახიმ ლიოვი:

– მეტოქეზე უკეთესად ვთამაშობდით. ძალიან ვცდილობდით. კარგად ვურთიერთქმედებდით, ვუტევდით და ორთაბრძოლებში საუცხოოდ გამოვიყურებოდით. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე ჩვენს კარში პენალტის დანიშვნა ძალიან საწყენი იყო. ეს უიღბლობაა. შანსები გვქონდა, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ.

ჯანო ანანიძე: „ადრე რონალდოს თამაში მომწონდა, ახლა — მესის“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ახლა დიდი დატვირთვების ქვეშ ვართ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბრწყინვალე პირობებში ვემზადებით. დადებითი ემოციები მოგვგვარა შეკრებაზე პირველმა გამარჯვებამ რუდართან, თანაც, იმ თამაშში გოლიც გავიტანე.

– ზე ლუიშს საგოლე გადაცემისთვის მადლობა როგორ გადაუხადეთ?

– სადილზე წვენი დავუსხი.

– როგორც ნახევარმცველს, უფრო გატანა მოგწონთ თუ პასების გაკეთება?

– კარგი პასი გოლს სჯობია. ზოგჯერ ხდება, რომ მაგარი გადაცემის შემდეგ ბურთზე მხოლოდ ფეხის დახვედრება გჭირდება. თუმცა, მოედანზე ერთის გაკეთებაც გინდა და მეორისაც.

– გასულ წელს ტრავმის გამო ბევრი გაგიცდათ. ახლა როგორ გრძნობთ თავს?

– კარგად! მადლობა ღმერთს, აღარაფერი მაწუხებს.

– ალენიჩევისგან ნდობას გრძნობთ?

– დიახ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მწვრთნელი პირადად მესაუბრება. ამას წინათ მითხრა, რომ ამ სეზონში 10 გოლი უნდა გავიტანო და ამდენივე საგოლე პასი შევასრულო. ასეთ თემებზე მწვრთნელი არ ხუმრობს.

– რეალური მიზანია?

– ვფიქრობ, რომ კი.

– ასეთი შედეგისთვის სტაბილურად თამაშია საჭირო.

– ფიზიკაში მჭირდება მომატება – უნდა ვივარჯიშო, რომ ფეხზე მყარად ვიდგე. კვირაში სამჯერ სატრენაჟორო დარბაზში ფიზმომზადების მწვრთნელთან ინდივიდუალურად ვვარჯიშობ.

– ალენიჩევმა პოზიცია შეგიცვალათ და თავდამსხმელის ზურგსუკან გათამაშებს.

– ყველაზე მეტად ამ პოზიციაზეა ჩემთვის თამაში კომფორტული.

– პარტნიორებიდან ვისთან ერთად გრძნობთ თავს ყველაზე კომფორტულად?

– ყველასთან ერთნაირად: კვინსი პრომესთანაც, იველინ პოპოვთანაც და ზე ლუიშთანაც. ენობრივი ბარიერი ხელს არ გვიშლის – ჩვენ ყველა ერთ, საფეხბურთო ენაზე ვმეტყველებთ. თანაც, უკვე ყველამ ვისწავლეთ მთავარი სიტყვები რუსულად – პას, გაუშვი, მომეცი, ერთი...

– ერთ-ერთ ვარჯიშზე „კედელს“ ალენიჩევთან და ტიტოვთან ერთად ამუშავებდით. სპარტაკის ლეგენდებმა სპეციალურად გიჩმეს თავისთან?

– არა, შემთხვევით მოხდა ასე! როგორც წესი, წყვილში ჩემს მეზობელ გიო მელქაძესთან ერთად ვვარჯიშობ, მაგრამ მაშინ ის რომულასთან აღმოჩნდა.

– ალენიჩევმა უკვე ისაუბრა მიზნებზე, რომლებიც გუნდს ახალ სეზონში ექნება დასახული?

– სპარტაკს ყოველთვის მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – ჩემპიონობა. ევროპალიგაზე კი აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ჯგუფურ ეტაპზე.

– 3 წლის წინ როსტოვში იჯარით ვისი ინიციატივით გადახვედით?

– ეს ერთობლივი გადაწყვეტილება იყო. ძალიან მსურდა მუდმივად მეთამაშა მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო დიდი დრო გამიცდა. ძიუბასთან ერთად როსტოვში წავედი და ძალიან კარგი სეზონი გამომივიდა.

– რაში წაგადგათ ეს იჯარა?

